European THYROID Association

გრეივსის დაავადების მართვის გაიდლაინი

2018

Georgian Association of Endocrinology and Metabolism
საქართველოს ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაცია

გაიდლაინი თარგმნა და გამოსცა
საქართველოს ენდოკრინოლოგიისა
და მეტაბოლიზმის ასოციაციამ

პროექტის ხელმძღვანელი:

ნათია ვაშაყმაძე, MD - საქართველოს ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაციის დამფუძნებელი

მთარგმნელები:

დავითაძე მერი - ენდოკრინოლოგი, MD
ვაშაყმაძე ნათია - ენდოკრინოლოგი, MD
თედორაძე ნინო - ენდოკრინოლოგი, MD
კობაიძე ანა - ენდოკრინოლოგი, MD
ნადირაძე ნინო - ენდოკრინოლოგი, MD
ღვინიაშვილი დარინა - ენდოკრინოლოგი, MD
ჩირაძე ნაზიბროლა - ენდოკრინოლოგი, MD
ჭელიძე ნაზი - რეზიდენტი ენდოკრინოლოგი, MD

რედაქტორთა ჯგუფი:

დავითაძე მერი - ენდოკრინოლოგი, MD
ვაშაყმაძე ნათია - ენდოკრინოლოგი, MD
თედორაძე ნინო - ენდოკრინოლოგი, MD
კობაიძე ანა - ენდოკრინოლოგი, MD
ნადირაძე ნინო - ენდოკრინოლოგი, MD
ჩირაძე ნაზიბროლა- ენდოკრინოლოგი, MD
ჩიქობავა მაია - ენდოკრინოლოგი, MD
ჭელიძე ნაზი - რეზიდენტი ენდოკრინოლოგი, MD

გაიდლაინი ითარგმნა ევროპის თირეოიდული ასოციაციისა და გამომცემლობა KARGER-ის ოფიციალური ნებართვით.

© ყველა უფლება დაცულია

თბილისი, 2019

ევროპის თირეოიდული ჟურნალი

Eur Thyroid J 2018;7:167–186
DOI: 10.1159/000490384

Received: April 26, 2018
Accepted after revision: May 24, 2018
Published online: July 25, 2018

2018 წლის ევროპის თირეოიდული ასოციაციის გაიდლაინი გრეივსის დაავადების მართვის შესახებ

George J. Kahaly[a], Luigi Bartalena[b], Lazlo Hegedüs[c], Laurence Leenhardt[d], Kris Poppe[e], Simon H. Pearce[f]

[a] Department of Medicine I, Johannes Gutenberg University (JGU) Medical Center, Mainz, Germany; [b] Department of Medicine and Surgery, University of Insubria, Varese, Italy; [c] Department of Endocrinology and Metabolism, Odense University Hospital, Odense, Denmark; [d] Thyroid and Endocrine Tumors Unit, Pitié Salpêtrière Hospital, Sorbonne University, Paris, France; [e] Endocrine Unit, CHU Saint-Pierre, Université Libre de Bruxelles (ULB), Brussels, Belgium; [f] Department of Endocrinology, Institute of Genetic Medicine, Newcastle University, Newcastle upon Tyne, UK

საკვანძო სიტყვები

გრეივსის ჰიპერთირეოზი · მართვა · ანტითირეოიდული მედიკამენტები · რადიოაქტიური იოდით თერაპია · თირეოიდექტომია · გრეივსის ორბიტოპათია · აბსტრაქტი

აბსტრაქტი

გრეივსის დაავადება სისტემური აუტოიმუნური დაავადებაა. მას ახასიათებს თირეოიდული ანტიგენ-სპეციფიკური T უჯრედებით იმ ქსოვილების ინფილტრაცია, სადაც ხდება TSH-ის რეცეპტორების ექსპრესია. გრეივსის დაავადების დროს მასტიმულირებელი აუტოანტისხეულები ააქტიურებს TSH-ის რეცეპტორებს (TSH-R), რაც ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზიას და თირეოიდული ჰორმონების უკონტროლო პროდუქციასა და სეკრეციას განაპირობებს. გრეივსის დაავადების დიაგნოზზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ბიოქიმიურად დადასტურებული თირეოტოქსიკოზი, TSH-R–ის საწინააღმდეგო ანტისხეულების (anti-TSH-R) მომატებული ტიტრი, ულტრასონოგრაფიულად ჰიპერვასკულარული და ჰიპოექოგენური ფარისებრი ჯირკვალი და ასოცირებული ორბიტოპათია. გრეივსის დაავადების დროს anti-TSH-R-ის განსაზღვრა რეკომენდებულია დიაგნოზის დაზუსტებისთვის/-დიფერენციული დიაგნოზისთვის, ანტითირეოიდული მედიკამენტების შეწყვეტამდე და ორსულობის დროს. გრეივსის ჰიპერთირეოზის სამკურნალოდ გამოიყენება: ანტითირეოიდული მედიკამენტები, თირეოიდული ჰორმონების სინთეზის დაქვეითების მიზნით, რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან ტოტალური თირეოიდექტომია, ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის შემცირების მიზნით. როგორც წესი, ახლად დიაგნოსტირებული გრეივსის ჰიპერთირეოზის დროს, ინიშნება მედიკამენტური თერაპია მეთიმაზოლით, 12-18 თვის განმავლობაში. ბავშვებთან, გრეივსის დაავადების დროს, რეკომენდებულია მეთიმაზოლით 24-36-თვიანი კურსი. ზრდასრულებში, 12-18-თვიანი მკურნალობის შემდეგ, anti-TSH-R-ის მუდმივად მაღალი ტიტრის შემთხვევაში, შესაძლებელია მკურნალობა გაგრძელდეს მეთიმაზოლით და anti-TSH-R განისაზღვროს განმეორებით, მომდევნო 12 თვის შემდეგ, ან აირჩეს მკურნალობის მეთოდად რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია. მეთიმაზოლით თერაპიაზე მყოფი ქალები, ორსულობის დაგეგმვისას და ორსულობის პირველ ტრიმესტრში გადაყვანილ უნდა იყვნენ პროპილთიოურაცილზე. ანტითირეოიდული მედიკამენტების კურსის (მეთიმაზოლის/კარბიმაზოლის უწყვეტად მიღება 12-18 თვის მანძილზე, რედ. შენიშვნა) დასრულების შემდეგ რეციდივის განვითარების შემთხვევაში, რეკომენდებულია რადიკალური მკურნალობა. თუმცა, შესაძლოა განიხილებოდეს მეთიმაზოლის დაბალი დოზებით ხანგრძლივი თერაპია. თირეოიდექტომია უნდა ჩაატაროს ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციებში დახელოვნებულმა და გამოცდილმა ქირურგმა. რადიოაქტიური იოდით თერაპია უკუნაჩვენებია გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებთან აქტიური/მძიმე ორბიტოპათიის შემთხვევაში. გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებს მსუბუქი/აქტიური

KARGER
E-Mail karger@karger.com
www.karger.com/etj

© 2018 European Thyroid Association
Published by S. Karger AG, Basel

Prof. George J. Kahaly, JGU Medical Center
DE–55101 Mainz (Germany)
E-Mail george.kahaly@unimedizin-mainz.de

გაიდლაინი თარგმნა და გამოსცა საქართველოს ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაციამ

ორბიტოპათიით, რომლებსაც ენიშნებათ რადიოაქტიური იოდი, უნდა ჩაუტარდეთ გლუკოკორტიკოიდებით პროფილაქტიკა.

ეპიდემიოლოგია და პათოგენეზი

ჰიპერთირეოზი ვითარდება ფარისებრი ჯირკვლის მიერ თირეოიდული ჰორმონების ჭარბი სინთეზისა და სეკრეციის შედეგად [1]. თირეოიდული ჰორმონები ზრდის ქსოვილების თერმოგენეზს და ბაზალური მეტაბოლიზმის სიჩქარეს, ამცირებს შრატის ქოლესტეროლის დონეს და სისტემურ ვასკულარულ რეზისტენტობას. არანამკურნალები ჰიპერთირეოზის გართულებებია სხეულის მასის კლება, ოსტეოპოროზი, პათოლოგიური მოტეხილობები, წინაგულთა ფიბრილაცია, ემბოლიური მოვლენები და კარდიოვასკულარული დისფუნქცია [2–4]. ჰიპერთირეოზის პრევალენტობა შეადგენს 1.2-1.6%-ს, სადაც 0.5-0.6% აშკარა ფორმებია, ხოლო 0.7-1.0% – სუბკლინიკური [1, 5]. ყველაზე ხშირი მიზეზებია გრეივსის დაავადება და კვანძოვანი ტოქსიკური ჩიყვი. იოდით უზრუნველყოფილ გეოგრაფიულ რეგიონებში ჰიპერთირეოზის ყველაზე გავრცელებული მიზეზია გრეივსის დაავადება და შეადგენს 20-30 შემთხვევას ყოველ 100 000 მოსახლეზე წელიწადში [6]. გრეივსის დაავადება უფრო ხშირად ვითარდება ქალებში და მისი პოპულაციური პრევალენტობა შეადგენს 1-1.5%. დაახლოებით ქალების 3%-ს და მამაკაცების 0.5%-ს უვითარდება გრეივსის დაავადება სიცოცხლის მანძილზე [7]. გრეივსის დაავადების პიკური ინციდენტობა ვლინდება 30-60 წლის ასაკის პირებში, უფრო ხშირად აფრო-ამერიკელებში [8].

გრეივსის დაავადება ორგანოსპეციფიკური აუტოიმუნური დაავადებაა, რომლის ძირითადი გამოვლინებებიც გამოწვეულია მოცირკულირე აუტოანტისხეულებით, რომლებიც ასტიმულირებენ TSH-R-ს და იწვევენ ჰიპერთირეოზსა და ჩიყვს. TSH-R-ის მასტიმულირებელი ანტისხეულები, ძირითადად, IgG-1 იზოტიპს მიეკუთვნება და უკავშირდება TSH-R-ის უჯრედგარე დომენის წყვეტილ ეპიტოპს ლეიცინით მდიდარ უბნებში, რომელიც შემოსაზღვრულია დაახლოებით 20-260 ამინომჟავით [9, 10]. ასევე, anti-TSH-R ურთიერთქმედებს IGF-1-ის რეცეპტორებთან (IGF-1-R) თირეოციტებისა და ორბიტალური ფიბრობლასტების ზედაპირზე. მასტიმულირებელი ანტისხეულების ურთიერთქმედება TSH-R-თან იწვევს როგორც TSH-R–ის, ისე IGF-1-R-ის სასიგნალო გზების აქტივაციას [11]. მოცირკულირე მასტიმულირებელი anti–TSH-R-ის შეკავშირება TSH-R-თან აძლიერებს უჯრედშიდა ციკლური AMP-ის (cAMP) პროდუქციას, რაც იწვევს თირეოიდული ჰორმონების გამოთავისუფლებას და თირეოციტების ზრდას. გრეივსის დაავადების მქონე პაციენტების დაახლოებით 30%-ს ჰყავს ოჯახის წევრი გრეივსის დაავადებით, ან ჰაშიმოტოს თირეოიდიტით. ტყუპების კვლევამ აჩვენა, რომ გრეივსის დაავადების განვითარება შემთხვევათა 80%-ში განპირობებულია გენეტიკური განწყობით [12]. არსებობს კარგად დადგენილი ასოციაციები ძირითად ჰისტოშეთავსებადობის კომპლექსის ალელებსა და გრეივსის დაავადებას შორის, მიდრეკილების მატარებელია HLA-DR3 და HLA-DR4 ჰაპლოტიპები [13]. წინასწარგანწყობის სხვა ლოკუსებია ციტოტოქსიკური ლიმფოციტების ანტიგენი-4, ცილა თიროზინ ფოსფატაზა არარეცეპტორი-22, ფუძე ამინომჟავებით მდიდარი ლეიცინის ზიპერი ტრანსკრიპციის ფაქტორი-2 და CD40 [14]. საკუთრივ TSH-R-ის გენის შემადგენლობაში არსებული არამაკოდირებელი უბანი, ასევე, კავშირშია წინასწარგანწყობასთან. გარემო ფაქტორები, როგორიცაა თამბაქოს მწეველობა, იოდის ჭარბი მოხმარება, სტრესი და ორსულობა, ასევე, ხელს უწყობს გრეივსის დაავადების მიმართ წინასწარგანწყობის ჩამოყალიბებას [15–17]. დამცველობითი ფაქტორებია მამრობითი სქესი და ორალური კონტრაცეპტივების მიღება, რაც სასქესო ჰორმონების ძლიერ ზეგავლენაზე მიუთითებს [6, 15].

მეთოდოლოგია

აღნიშნული გაიდლაინი შეიმუშავა ევროპის თირეოიდული ასოციაციის აღმასრულებელმა კომისიამ და საგამომცემლო საბჭომ, რომელთაც შეარჩიეს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. თირეოიდული ასოციაციის აღმასრულებელ კომისიასთან შეთანხმებით, თავმჯდომარემ ევროპელი კლინიცისტებისაგან შეკრიბა ჯგუფი, რომელმაც შექმნა ეს დოკუმენტი. სამუშაო ჯგუფში შეირჩნენ ევროპის თირეოიდული ასოციაციის წევრები ენდოკრინოლოგიისა და ბირთვული მედიცინის სფეროდან, რომელთაც ჰქონდათ შესაბამისი კლინიკური ცოდნა და სამეცნიერო გამოცდილება. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საძიებო სისტემა PubMed-ის გამოყენებით მოძიებული შესაბამისი ლიტერატურა დამატებით გამოქვეყნებულ მასალასთან ერთად. ტექსტი და სპეციფიკური რეკომენდაციების სერიები შემუშავებული იყო და ეყრდნობოდა მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მედიცინას. რეკომენდაციების ძალა და მათი მხარდამჭერი მტკიცებულების ხარისხი შეფასებული იყო GRADE სისტემის მიერ რეკომენდებული მიდგომის მიხედვით [18]. ევროპის თირეოიდული ასოციაციის სამუშაო ჯგუფმა ამ გზამკვლევისთვის გამოიყენა კოდირების შემდეგი სისტემა: (ა) ძლიერი რეკომენდაცია აღნიშნულია 1-ით, ხოლო (ბ) სუსტი რეკომენდაცია, ან შემოთავაზება აღნიშნულია 2-ით. მტკიცებულების შეფასება გამოსახულია შემდეგნაირად: ØOOO - მტკიცებულების ძალიან დაბალი ხარისხი; ØØOO - დაბალი ხარისხი; ØØØO - საშუალო ხარისხი; ØØØØ - მაღალი ხარისხი. პროექტი განიხილა სამუშაო ჯგუფმა და შემდგომ განათავსა ETA-ს ვებგვერდზე, რათა 4 კვირის განმავლობაში ევროპის თირეოიდული ასოციაციის წევრებს კრიტიკულად შეეფასებინათ.

დიაგნოსტიკა

სეროლოგია

შრატის TSH-ის განსაზღვრას აქვს ყველაზე მაღალი სენსიტიურობა და სპეციფიკურობა ჰიპერთირეოზის შესაფასებლად გამოყენებულ სისხლის ნებისმიერ სხვა ტესტთან შედარებით და სწორედ ის უნდა იყოს გამოყენებული საწყის სკრინინგულ გამოკვლევად [19, 20]. თუმცა, როდესაც ჰიპერთირეოზის არსებობაზე ეჭვი მაღალია, დიაგნოსტიკური სიზუსტე უმჯობესდება შრატში TSH-ისა და თავისუფალი T4-ის (FT4) ერთდროული განსაზღვრით. თავისუფალ T4-სა და TSH-ს შორის ურთიერთკავშირი (როდესაც ჰიპოფიზ-ფარისებრის ღერძი ინტაქტურია) არის ინვერსიული წრფივ-ლოგარითმული. ამდენად, თავისუფალი T4-ის



სურათი 1. გრეივსის ჰიპერთირეოზზე ეჭვის შემთხვევაში პაციენტის გამოკვლევის ალგორითმი.

კონცენტრაციის მცირე ცვლილება იწვევს შრატის TSH-ის კონცენტრაციის მკვეთრ ცვლილებას. შრატის TSH-ის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სიჭარბის შესაფასებლად, მეტად მგრძნობიარე ტესტია უშუალოდ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების განსაზღვრასთან შედარებით [20, 21]. აშკარა ჰიპერთირეოზის დროს შრატში მომატებულია თავისუფალი T4-ის და T3-ის დონე, ხოლო შრატის TSH სუპრესირებულია. თუმცა, შედარებით მსუბუქი ჰიპერთირეოზის დროს შრატის საერთო T4-ისა და თავისუფალი T4-ის დონე შესაძლოა ნორმის ფარგლებში იყოს და მხოლოდ თავისუფალი T3 იყოს მომატებული სუპრესირებული TSH-ის ფონზე (იხ. სურათი 1).

გრეივსის დაავადების დიაგნოსტიკის სპეციფიკური ბიომარკერია anti-TSH-R [2, 22]. იმუნოლოგიური კვლევების უმეტესობა იყენებს კონკურენტულ-შებოჭვით რეაგენტებს და ზომავს TSH-R-ის შემბოჭველ მაინჰიბირებელ იმონოგლობულინებს (TBII). შემბოჭველი რეაგენტები გვაწვდის ინფორმაციას მხოლოდ anti-TSH-R-ის არსებობა/არარსებობაზე და მათ რაოდენობაზე, მაგრამ არ მიგვანიშნებს ამ ანტისხეულების ფუნქციურ აქტივობაზე [23, 24]. 21 კვლევის მეტა-ანალიზი გვიჩვენებს, რომ anti-TSH-R-ის კონცენტრაციის განსაზღვრის საბოლოო სენსიტიურობა და სპეციფიკურობა მეორე და მესამე თაობის შემბოჭველი რეაგენტებით 97% და 98%-ია, შესაბამისად [25]. ამისგან განსხვავებით, მაღალმგრძნობიარე უჯრედზე დაფუძნებული ბიორეაგენტები [26–33] ექსკლუზიურად ასხვავებენ ერთმანეთისგან TSH-ის რეცეპტორების მასტიმულირებელ ანტისხეულებსა (TSAb) და TSH რეცეპტორების მაბლოკირებელ ანტისხეულებს [34, 35]. ასევე, TSH-ის რეცეპტორების მასტიმულირებელი ანტისხეულები წარმოადგენს გრეივსის დაავადების ექსტრათირეოიდული მანიფესტაციის [36–42] და ფეტალური და ნეონატალური ჰიპერთირეოზის სენსიტიურ და პროგნოზულ ბიომარკერს. და ბოლოს, TSH–ის რეცეპტორების მასტიმულირებელი ანტისხეულების ადრეული ჩართვა და გამოყენება დიაგნოსტიკის ალგორითმში ამცირებს გრეივსის დაავადების დიაგნოსტიკისთვის საჭირო დროს 46%-ითა და ხარჯს 47%-ით [45].

	რეკომენდაციები
1	Anti-TSH-R–ის განსაზღვრა გრეივსის ჰიპერთირეოზის სწრაფი და ზუსტი დიაგნოსტიკისა და დიფერენციული დიაგნოსტიკის მგრძნობიარე და სპეციფიკური მეთოდია. 1, ØØØØ
2	როდესაც ტექნიკურად ხელმისაწვდომია, anti-TSH-R–ის ფუნქციური დიფერენციაცია (მასტიმულირებელი vs. მაინჰიბირებელი, რედ. შენიშვნა) გამოსადეგია და აქვს პრედიქტორული ღირებულება გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებში ორსულობის/მშობიარობის შემდგომ პერიოდში და ექსტრათირეოიდული გამოვლინებების დროს. 2, ØØØO

გამომსახველობითი კვლევები

ნანახია მნიშვნელოვანი სხვაობები რეგიონთა შორის და რეგიონის შიგნით გრეივსის დაავადების დიაგნოსტიკის პრაქტიკებს შორის [22]. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციისა და anti-TSH-R-ის განსაზღვრასთან ერთად, კლინიცისტების უმეტესობა ირჩევს ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერის ჩატარებას და, უფრო იშვიათად, ფარისებრი ჯირკვლის რადიოიზოტოპურ სკანირებას [22]. ერთ-ერთ კვლევაში, რომელშიც მონაწილეობდა 263 ენდოკრინოლოგი და ჰიპერთირეოზის მქონე 992 პაციენტი, დიაგნოსტიკისთვის ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერა გამოიყენეს 93,8%–ში, ხოლო სცინტიგრაფია – 40,3%–ში [46]. როგორც წესი, ფარისებრი ჯირკვლის კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, ან პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარება არ არის ნაჩვენები. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა არის მოსახერხებელი, არაინვაზიური, სწრაფი და ზუსტი საშუალება გრეივსის დაავადების პირველადი კვლევისას. იგი გვეხმარება

მაიონიზებელი დასხივების გარეშე დაისვას დიაგნოზი, ასევე, განისაზღვროს თირეოტოქსიკოზის ეტიოლოგია და ფარისებრ ჯირკვალში მოხდეს კვანძების აღმოჩენა [47–49]. გამომსახველობითი კვლევები მნიშვნელოვადაა დამოკიდებული აპარატურასა და მკვლევარის გამოცდილებაზე. ულტრაბგერითი კვლევის დროს უნდა გამოიყენებოდეს მაღალი სიხშირის წრფივი გადამწოდი. გრეივსის დაავადების დროს ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის დიფუზური გადიდება და ჰიპოექოგენურობა, ორივე მათგანის შეფასება შესაძლებელია ულტრაბგერით [6].

ფერადი დოპლეროგრაფიით გამოკვლევისას ფასდება ფარისებრი ჯირკვლის სისხლმომარაგება [50]. არანამკურნალები გრეივსის დაავადების მოგვიანებით ეტაპზე კი მთელ ჯირკვალში გამოხატულია გაძლიერებული სისხლმომარაგების კერები, რასაც ეწოდება „ფარისებრის ხანძარი" [51]. ფარისებრი ჯირკვლის არტერიული ნაკადის სიჩქარისა და პიკური სისტოლური სიჩქარის (PSV) ზუსტი განსაზღვრა საჭიროებს კედლის ფილტრების პულსის განმეორებით სიხშირესთან კორექტირებას და დასხივების კუთხის კონტროლს 0-დან 60°-მდე. არანამკურნალები გრეივსის დაავადების დროს ფარისებრი ჯირკვლის არტერიის ნაკადის სიჩქარე და პიკური სისტოლური ნაკადის სიჩქარე მნიშვნელოვნად გაზრდილია. პიკური სისტოლური ნაკადის სიჩქარე შესაძლოა გამოყენებულ იქნას თირეოტოქსიკოზის დიფერენციული დიაგნოსტიკისთვის გრეივსის დაავადებასა და ქვემწვავე თირეოიდიტს შორის, ან ამიოდარონ-ინდუცირებული თირეოტოქსიკოზის მე-2 ტიპს შორის, სადაც ნაკადის სიჩქარე შემცირებულია [52]. ტიპური ულტრაბგერითი მახასიათებელი და პოზიტიური anti-TSH-R აბათილებს სცინტიგრაფიის საჭიროებას შემთხვევათა უმეტესობაში. თუმცა, ფარისებრი ჯირკვლის სცინტიგრაფია შესაძლოა გამოგვადგეს რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე პაციენტის შეფასებისთვის, განსაკუთრებით, მრავალკვანძოვანი ჩიყვის თანაარსებობის დროს [6].

რეკომენდაციები

3 ულტრაბგერითი კვლევა, რომელიც მოიცავს ულტრაბგერით რუხი სკალისა და ფერადი, ან ენერგეტიკული დოპლერით გამოკვლევას, რეკომენდებულია როგორც ვიზუალიზაციის მეთოდი გრეივსის ჰიპერთირეოზის დიაგნოზის გასამყარებლად. 1, ØØØØ

4 ფარისებრი ჯირკვლის სცინტიგრაფია შემოთავაზებულია ფარისებრი ჯირკვლის კვანძებისა და ჰიპერთირეოზის თანაარსებობისას და, ასევე, რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე. 2, ØØØO

ცხრილი 1. ანტითირეოიდული მედიკამენტების მოქმედების მექანიზმი

ინტრათირეოიდულად შემდეგი პროცესების ინჰიბირება:
იოდის დაჟანგვა/ორგანიფიკაცია
იოდთირონინების შეწყვილება
თირეოგლობულინის ბიოსინთეზი
ფოლიკულური უჯრედების ზრდა
ექსტრათირეოიდულად T4/T3 გარდაქმნის ინჰიბირება (PTU)

მკურნალობა

მედიკამენტური თერაპია

გრეივსის ჰიპერთირეოზის მკურნალობა ხდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სინთეზის, ან ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის შემცირების გზით. პირველ შემთხვევაში გამოიყენება ანტითირეოიდული პრეპარატები, ხოლო მეორე შემთხვევაში – რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან ტოტალური თირეოიდექტომია [6, 47]. ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობა ყველაზე გავრცელებული თერაპიაა ევროპასა და, ჯერჯერობით, აშშ-შიც [53, 54]. მთავარი ანტითირეოიდული მედიკამენტებია თიონამიდები, როგორიცაა პროპილთიოურაცილი (PTU), კარბიმაზოლი (CBZ) და ამ უკანასკნელის აქტიური მეტაბოლიტი – მეთიმაზოლი (MMI). კარბიმაზოლი არ არის აქტიური ნივთიერება, იგი განიცდის დეკარბოქსილირებას ღვიძლში და გარდაიქმნება მეთიმაზოლად. თიონამიდები აინჰიბირებს იოდთირონინების შეწყვილებას და შედეგად ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ბიოსინთეზს [55]. ყველა მათგანი აინჰიბირებს ჰიდროპეროქსიდაზების ფუნქციას, ამცირებს იოდის დაჟანგვასა და ორგანიფიკაციას (ცხრილი 1). ანტითირეოიდული მედიკამენტები ნაჩვენებია, როგორც პირველი რიგის სამკურნალო საშუალება გრეივსის დაავადების დროს, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ინდივიდებში და, ასევე, რადიოაქტიური იოდით თერაპიისთვის ან თირეოიდექტომიისთვის მოსამზადებელ პერიოდში გრეივსის დაავადების ხანმოკლე პერიოდით მკურნალობისთვის [2, 6, 22]. ანტითირეოიდული მედიკამენტები ამცირებენ anti-TSH-R-ის დონეს და ამდენად, ხელს უწყობენ რემისიას, არანამკურნალებ პირებთან შედარებით. მაღალი დოზებით პროპილთიოურაცილი აინჰიბირებს T4-ის T3-ად დეიოდინაციას [56]. თუმცა, ამ ეფექტს მძიმე თირეოტოქსიკოზის შემთხვევების გარდა, მცირე სარგებელი აქვს. პროპილთიოურაცილს, სხვა პრეპარატებთან შედარებით, ხანმოკლე ნახევარდაშლის პერიოდი გააჩნია (ცხრილი 2). მეთიმაზოლის საწყისი დოზა, ჩვეულებრივ, არის 10-30 მგ/დღეში, რაც დამოკიდებულია ჰიპერთირეოზის სიმძიმეზე (კარბიმაზოლი 15-40 მგ/დღეში). პროპილთიოურაცილი ინიშნება დოზით 100 მგ ყოველ 8 საათში და განაწილებულ დღიურ დოზებად, რაც გრძელდება მთელი მკურნალობის მანძილზე. თირეოტოქსიკოზის გაუმჯობესების პარალელურად ანტითირეოიდული პრეპარატების საწყისი დოზა შესაძლებელია დროთა განმავლობაში შემცირდეს (ტიტრაციის რეჟიმით). ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური ტესტების კონტროლი ტარდება მკურნალობის დაწყებიდან 3-4 კვირის შემდგომ. მედიკამენტების დოზა უნდა შეირჩეს თავისუფალი T4 და T3 დონის მიხედვით. პაციენტთა დიდი ნაწილი ეუთირეოზს აღწევს მკურნალობის დაწყებიდან 3-4 კვირაში. TSH-ის დონე ხშირად რჩება სუპრესირებული რამდენიმე თვის მანძილზე და ამდენად არ წარმოადგენს ადრეულ პერიოდში მკურნალობაზე საპასუხო რეაქციის სენსიტიურ მარკერს. ჩვეულებრივ, ანტითირეოიდული მედიკამენტების დღიური შემანარჩუნებელი დოზები შეადგენს 2,5-10 მგ მეთიმაზოლსა და 50-100 მგ პროპილთიოურაცილს. ალტერნატიულად, შესაძლოა დაინიშნოს მეთიმაზოლი 30 მგ ლევოთიროქსინით ჩანაცვლებით თერაპიასთან კომ-

ბინაციაში („დაბლოკე და ჩაანაცვლე“ რეჟიმი), რათა არ განვითარდეს წამლით განპირობებული ჰიპოთირეოზი. საწყისი მონაცემები, რომლის მიხედვითაც, „დაბლოკე და ჩაანაცვლე“ რეჟიმი უპირატესად მიიჩნეოდა [2, 57] არ დადასტურდა. დოზის ტიტრაციით შემცირების რეჟიმი ხშირად უმჯობესია, რათა მინიმალური დოზით გამოვიყენოთ ანტითირეოიდული მედიკამენტები. ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის ოპტიმალური ხანგრძლივობა 12-18 თვეა [57]. ლევოთიროქსინით მკურნალობის გაგრძელება საწყისი ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის შემდეგ არ იძლევა სარგებელს ჰიპერთირეოზის რეციდივის თვალსაზრისით [5, 57]. რემისიის მაქსიმალური სიხშირე მიიღწევა (50-55%) 12-18 თვეში. Anti-TSH-R-ის განსაზღვრა რეკომენდებულია ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის შეწყვეტამდე, რაც განსაზღვრავს მკურნალობის შეწყვეტის საკითხს. ანტისხეულების ნორმალური დონე მიუთითებს დაავადების რემისიის მაღალ ალბათობაზე [5, 22]. ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის პერიოდში ანტისხეულების ტიტრის მონიტორინგი დამხმარე საშუალებაა დაავადების გამოსავლის წინასწარ განვსაზღვრისთვის [58, 59]. პაციენტებთან, რომელთა ანტისხეულების ტიტრი მუდმივად მაღალია და 12-18 თვის შემდეგაც მაღალი რჩება, შესაძლებელია, გაგრძელდეს მეთიმაზოლით მკურნალობა და ანტისხეულები განმეორებით განისაზღვროს 12 თვის შემდეგ, ან პაციენტი გადამისამართდეს რადიოაქტიური იოდით თერაპიაზე, ან თირეოიდექტომიაზე (სურათი 2). ამასთანავე, გამოქვეყნებულია მტკიცებულებები ანტითირეოიდული მედიკამენტების ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით ზრდასრულებსა და ბავშვებში [60-62]. დაავადების რეციდივი, უფრო მაღალი ალბათობით, მოსალოდნელია ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის შეწყვეტიდან 6-12 თვის განმავლობაში, თუმცა, შესაძლებელია 1 წლის შემდეგაც. პაციენტებს, მძიმე ხარისხის ჰიპერთირეოზით, დიდი ზომის ჩიყვით, ან ანტისხეულების მუდმივად მაღალი ტიტრით, აქვთ რეციდივის განვითარების უფრო მაღალი ალბათობა, მაგრამ რთულია დაავადების გამოსავლის წინასწარ განსაზღვრა. ყველა პაციენტი უნდა იმყოფებოდეს აქტიური მეთვალყურეობის ქვეშ. მკურნალობის შეწყვეტიდან პირველი წლის განმავლობაში და შემდეგ, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ.

ცხრილი 2. ანტითირეოიდული მედიკამენტების ფარმაკოლოგია და ფარმაკოკინეტიკა

	MMI	PTU
აბსორბცია	სწრაფი	სწრაფი
ბიოშეღწევადობა	~ 100 %	~ 100 %
შრატში პიკური დონეწ	60 - 120 წთ	60 წთ
შრატში ნახევარდაშლის პერიოდი	6 - 8 სთწ	90 წთ
ფარისებრ ჯირკვალში კონცენტრაცია	5 x 10^5 მოლი/ლ	უცნობი
ფარისებრი ჯირკვალიდან მედიკამენტის გამოთავისუფლება	ნელი	საშუალო
მოქმედების ხანგრძლივობა	> 24 სთ	8 - 12 სთ
შრატის პროტეინთან შეკავშირება	არა	> 75 %
პლაცენტარული ბარიერის გავლა	++	+
შემცველობა დედის რძეში	++	+
გავრცელების ფართობი	40 ლ	20 ლ
ექსკრეცია	თირკმლით	თირკმლით
მეტაბოლიზმი ავადმყოფობის დროს		
თირკმელი	არა	არა
ღვიძლი	გახანგრძლივებული	არა
სიძლიერე	10x	1x
T3/T4 ნორმალიზაცია	6 კვირა	12 კვირა
გვერდითი მოვლენები	15%	20%
აგრანულოციტოზი	0.6%	1 - 1.5 %
გვერდითი მოვლენების ჯვარედინი რეაქცია	13.8%	15.2%
დამყოლობა	მაღალი	დამაკმაყოფილებელი
ღირებულება	დაბალი	საშუალო

MMI - მეთიმაზოლი; PTU – პროპილთიოურაცილი

რეკომენდაციები

5 ახლად დიაგნოსტირებული გრეივსის ჰიპერთირეოზის მქონე პაციენტებს უნდა დაენიშნოთ ანტითირეოიდული მედიკამენტები. რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია შესაძლოა განიხილებოდეს იმ შემთხვევებში, თუ პაციენტი უპირატესობას ანიჭებს ამ მიდგომებს. 1, ØØØØ

6 მეთიმაზოლი (კარბიმაზოლი) უნდა იყოს გამოყენებული ყველა არაორსულ პაციენტში, ვინც ირჩევს ანტითირეოიდულ მედიკამენტურ მკურნალობას გრეივსის ჰიპერთირეოზის სამკურნალოდ. 1, ØØØØ

7 მეთიმაზოლი ინიშნება 12-18 თვით, შემდეგ მისი მიღება წყდება, თუ TSH და anti-TSH-R ნორმაშია. 1, ØØØØ

8 Anti-TSH-R–ის განსაზღვრა რეკომენდებულია ანტითირეოიდული მედიკამენტების შეწყვეტამდე. მათი რაოდენობის განსაზღვრა გვეხმარება პროგნოზირებაში, თუ რომელ პაციენტს უნდა შეუწყდეს ანტითირეოიდული მკურნალობა. Anti-TSH-R–ის ნორმალური დონე მიგვანიშნებს რემისიის მაღალ ალბათობაზე.

9 12–18–თვიანი მკურნალობის შემდეგ, anti-TSH-R–ის მუდმივად მაღალი ტიტრის შემთხვევაში, შესაძლებელია თერაპიის გაგრძელება მეთიმაზოლით და anti-TSH-R–ის განმეორებით განსაზღვრა დამატებითი მკურნალობიდან 12 თვეში, ან აირჩეს მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები: რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია. 1, ØØØO

გვერდითი მოვლენები

ანტითირეოიდული მედიკამენტების ხშირი გვერდითი მოვლენებია (ცხრილი 3): გამონაყარი, ურტიკარია, ართრალგია (1-5%). მცირედ გამოხატული კანის რეაქციის შემთხვევაში გამოიყენება ანტიჰისტამინური თერაპია, ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის შეწყვეტის გარეშე. აღნიშნული შესაძლოა ალაგდეს სპონტანურად, ან ალტერნატიული ანტითირეოიდული მედიკამენტის ჩანაცვლებით [56]. სერიოზული ალერგიული რეაქციის შემთხვევაში ალტერნატიული მედიკამენტის გამოწერა არ არის რეკომენდებული.

იშვიათი, მაგრამ სერიოზული გვერდითი მოვლენებია [63]: ჰეპატიტი, ლუპუსის მსგავსი სინდრომი და აგრანულოციტოზი (ნეიტროფილების რაოდენობა <500/მლ), რომელიც გვხვდება შემთხვევათა 0.1-1.0%-ში [64, 65]. აგრანულოციტოზი შესაძლოა განვითარდეს უეცრად ანტითირეოიდული მკურნალობის დაწყებიდან პირველი 3 თვის განმავლობაში [65]. ანტითირეოიდული მედიკამენტებით ინდუცირებული აგრანულოციტოზისა და პანციტოპენიის ჯამური სიხშირე მკურნალობის დაწყებიდან 100 და 150 დღეზე, შესაბამისად, შეადგენდა 0.28 და 0.29%-ს [66]. ანტითირეოიდული მედიკამენტით გამოწვეული აგრანულოციტოზის [67] გენეტიკურმა დეტერმინანტებმა აჩვენა, რომ HLA-B* 38:02 და HLA-DRB1* 08:02 არის დამოუკიდებელი მიდრეკილების ლოკუსები აგრანულოციტოზისთვის, HLA-B* 38:02 და HLA-DRB1* 08:02 მტარებლობა ზრდის რისკების თანაფარდობას 48.41-მდე (95% CI 21.66-108.22). თეთრკანიანებში, სავარაუდოდ, ასოცირდება განსხვავებულ HLA-B ალელთან (B*27:05; OR 7.3, 95% CI 3.81 – 13.96) და იშვიათ NOX3 ვარიანტებთან [68, 69]. მეთიმაზოლს (კარბიმაზოლი) და პროპილთიოურაცილს განსხვავებულად გამოხატული ჰეპატოტოქსიკური მოქმედება აქვს. პროპილთიოურაცილის მიღებასთან ასოცირებული ჰეპატოტოქსიკურობა აღინიშნება უპირატესად ბავშვებში, განსხვავებით მეთიმაზოლისგან, რომელსაც, ჩვეულებრივ, უფრო მსუბუქად აქვს გამოხატული ქოლესტაზური მოქმედება [70].

კვლევაში, რომელშიც ჩართული იყო ანტითირეოიდულ მკურნალობაზე მყოფი 71 379 პაციენტი, მეთიმაზოლით ინდუცირებულ ჰეპატიტსა და ქოლესტაზს დოზაზე დამოკიდებული კავშირი ჰქონდა. სერიოზული გვერდითი მოვლენების შემთხვევაში უნდა შეწყდეს და არ განახლდეს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობა. პაციენტს უნდა მიეცეს წერილობითი ინსტრუქცია შესაძლო აგრანულოციტოზის სიმპტომებთან დაკავშირებით (მაგ: ყელის ტკივილი, ცხელება, ენაზე წყლული), მკურნალობის შეწყვეტის საჭიროება უნდა გადაწყდეს სისხლის საერთო ანალიზის მიხედვით. რუტინულად სისხლის საერთო ანალიზისა და ღვიძლის ბიოქიმიური სინჯების განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აგრანულოციტოზი ვითარდება უეცრად [56].

რეკომენდაციები

10 პაციენტები ინფორმირებული უნდა იყვნენ ანტითირეოიდული მედიკამენტების შესაძლო გვერდითი ეფექტების შესახებ და დაუყოვნებლივ შეატყობინონ მკურნალ ექიმს, თუ განვითარდა: სიყვითლე, ღია ფერის განავალი, მუქი ფერის შარდი, ცხელება, ფარინგიტი, ან ცისტიტი. 1, ØØOO



სურათი 2. გრეივსის ჰიპერთირეოზის მართვის ალგორითმი. Anti-TSH-R - თირეოტროპული ჰორმონის რეცეპტორის საწინააღმდეგო ანტისხეულები, MMI – მეთიმაზოლი, CBZ – კარბიმაზოლი, RAI - რადიოაქტიური იოდით თერაპია, Tx - ტოტალური თირეოიდექტომია, GO - გრეივსის ორბიტოპათია.

11 ანტითირეოიდულ მედიკამენტებზე მყოფ პაციენტებს ცხელების და/ან ფარინგიტის დროს უნდა განესაზღვროთ ლეიკოციტები, ხოლო თუ განვითარდა სიყვითლე, ღია ფერის განავალი, ან მუქი ფერის შარდი, უნდა შეფასდეს ღვიძლის ფუნქცია. 1, ØØOO

ცხრილი 3. ანტითირეოიდული მედიკამენტების გვერდითი მოვლენები

ხშირი (1.0 – 5.0%)	
	გამონაყარი კანზე
	ურტიკარია
	ართრალგია, პოლიართრიტი
	ცხელება
	ტრანზიტორული მსუბუქი ლეიკოპენია
იშვიათი (0.2 – 1.0%)	
	გასტროინტესტინური
	გემოვნებისა და ყნოსვის დარღვევა
	აგრანულოციტოზი
ძალიან იშვიათი (<0.1%)	
	აპლაზიური ანემია (PTU, CBZ)
	თრომბოციტოპენია (PTU, CBZ)
	ვასკულიტი, მგლურას-მსგავსი სინდრომი, ANCA + (PTU)
	ჰეპატიტი (PTU)
	ჰიპოგლიკემია (ინსულინის საწინააღმდეგო ანტისხეულები, PTU)
	ქოლესტაზური სიყვითლე (CBZ/MMI)

PTU – პროპილთიოურაცილი; MMI – მეთიმაზოლი; CBZ – კარბიმაზოლი; ANCA – ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეული.

ბეტა–ადრენერგული ბლოკადა

პროპრანოლოლი (20-40 მგ ყოველ 6 საათში), ან გახანგრძლივებული მოქმედების ბეტა–ბლოკერები (მაგ.: ატენოლოლი/ბისოპროლოლი) საჭიროა ადრენერგული სიმპტომების (მაგ.: გულისცემის გახშირება, ტრემორი) კონტროლისთვის, განსაკუთრებით, ადრეულ პერიოდში, სანამ ანტითირეოიდული მედიკამენტები დაიწყებს მოქმედებას. პროპრანოლოლი მაღალი დოზებით (40 მგ 4–ჯერ დღეში) თრგუნავს T4-ის T3–ში პერიფერიულ კონვერსიას. კარდიოსელექციური ბეტა–ბლოკერები, ძლიერი კარდიოპროტექციული ეფექტებითა და წინაგულთა ფიბრილაციის უპირატესი პრევენციის უნარით, ალტერნატიული არჩევანია, განსაკუთრებით, ასთმით დაავადებულ პაციენტებთან. წინაგულთა ფიბრილაციის მქონე ყველა პაციენტში უნდა განიხილებოდეს ანტიკოაგულაციური თერაპია ვარფარინით, ან პირდაპირი ორალური ანტიკოაგულანტებით. დიგოქსინის გამოყენების შემთხვევაში, თირეოტოქსიკოზის დროს, ხშირად საჭიროა აღნიშნული პრეპარატის უფრო მაღალი დოზები [2, 5, 6, 72].

რეკომენდაცია

12 ბეტა–ადრენერგული ბლოკადა რეკომენდებულია ყველა შესაბამის შემთხვევაში გრეივსის ჰიპერთირეოზის დროს. 1, ØØØØ

ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის კურსის შემდგომი რეციდივი

მეტაანალიზმა [73], მნიშვნელოვან გვერდით მოვლენებთან (13%) ერთად, დაადასტურა ანტითირეოიდული პრეპარატებით მკურნალობის შემდეგ რეციდივის მაღალი სიხშირე (52,7%), რადიოაქტიური იოდით (15%, OR 6,25), ან ქირურგიულ მკურნალობასთან (10%, OR 9,09) შედარებით. მეორე მეტაანალიზმა, სადაც შეფასდა 54 კვლევა და 7 595 მონაწილე, აჩვენა გრეივსის დაავადების პერსისტიულობის (49%) განმაპირობებელი რამდენიმე რისკის ფაქტორი [74]. ორბიტოპათია, თამბაქოს მწეველობა, (დიაგნოზის დადგენისას - რედ.შენიშვნა) ფარისებრი ჯირკვლის მოცულობა, თავისუფალი T4, საერთო T3 და anti-TSH-R მნიშვნელოვნად ასოცირდება რეციდივთან. პროსპექტულ კვლევაში, რომელმაც წარმოადგინა გრეივსის დაავადების რაოდენობრივი პროგნოზული „GREAT“ ქულა [75], გრეივსის ჰიპერთირეოზის პირველი ეპიზოდით პაციენტების 37%–ს აღენიშნებოდა რეციდივი ანტითირეოიდული პრეპარატების შეწყვეტიდან 2 წელიწადში. პაციენტის შედარებით მცირე ასაკი, შრატის anti-TSH-R–ის და თავისუფალი T4–ის მაღალი დონე, დიაგნოზის დადგენისას შედარებით დიდი ზომის ჩიყვი, PTPN22 C/T პოლიმორფიზმი და DQB1*02, DQA1*05 და DRB1*03 HLA-ის ქვეტიპები წარმოადგენდა რეციდივის დამოუკიდებელ პრედიქტორებს.

მეორე მხრივ, რეციდივის შემდეგ ანტითირეოიდული მედიკამენტებით ხანგრძლივი მკურნალობის სარგებელი ნანახია პაციენტებში, რომელთაც გრეივსის დაავადების რეციდივი განუვითარდათ ანტითირეოიდული პრეპარატების მიღების შეწყვეტიდან 12–24 თვეში [76]. კვლევაში გამოიყენებოდა რადიოაქტიური იოდით მკურნალობა და ლევოთიროქსინით ჩანაცვლებითი თერაპია, ან მეთიმაზოლი (2,5 – 7 მგ დღეში). მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები არ გამოვლინდა. ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია ჭარბობდა რადიოაქტიური იოდით თერაპიის ჯგუფში ($p < 0,001$), ხოლო ეუთირეოზი უფრო ხშირი იყო მეთიმაზოლის ჯგუფში ($p < 0,001$). გრეივსის ორბიტოპათიის გაუარესების სიხშირე უფრო მაღალი იყო რადიოაქტიური იოდით თერაპიის შემდეგ ($p < 0,0005$), დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში (OR 21.1, 95% CI 1.5-298, $p < 0,0003$). რადიოაქტიური იოდით–თერაპიის შემდეგ პაციენტები უფრო მეტად იმატებდნენ წონაში ($p < 0,005$). ამგვარად, მეთიმაზოლის დაბალი დოზები იყო ეფექტური, უსაფრთხო და აჩვენა უკეთესი გამოსავალი გრეივსის ორბიტოპათიის დროს, რადიოაქტიური იოდით თერაპიასთან შედარებით. გრეივსის დაავადების მეთიმაზოლით ხანგრძლივი მკურნალობა, კიდევ ერთ კვლევაში [77], იყო უსაფრთხო, ხოლო გართულებების სიხშირე და ხარჯეფექტურობა არ იყო მაღალი, რადიოაქტიური იოდით თერაპიასთან შედარებით.

რეკომენდაცია

13 თუ გრეივსის დაავადების მქონე პაციენტს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის პირველი კურსის დასრულების შემდეგ ხელახლა განუვითარდა ჰიპერთირეოზი, რეკომენდებულია რადიკალური მკურნალობა – რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია. მეთიმაზოლის დაბალი დოზით შემდგომი ხანგრძლივი თერაპია შეიძლება განიხილებოდეს რემისიაში არმყოფ პაციენტებთან, რომლებიც ამ მიდგომას ანიჭებენ უპირატესობას. 1, ØØØO

Eur Thyroid J 2018;7:167–186
DOI: 10.1159/000490384

გაიდლაინი თარგმნა და გამოსცა საქართველოს ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაციამ

სუბკლინიკური გრეივსის ჰიპერთირეოზი

ენდოგენური მსუბუქი, ან სუბკლინიკური ჰიპერთირეოზი ასოცირებულია კორონარული დაავადებით გამოწვეული სიკვდილობის მომატებულ რისკთან, წინაგულთა ფიბრილაციის გამოვლენის სიხშირესთან, გულის უკმარისობასთან, მოტეხილობებსა და მაღალ სიკვდილობასთან პაციენტებში შრატის TSH <0,1 მსე/ლ [78-82]. გარდა ამისა, anti-TSH-R-ის არსებობისას, რაც მიუთითებს გრეივსის დაავადების „სუბკლინიკურ" ფორმაზე, მანიფესტირებული ჰიპერთირეოზში პროგრესირების სიხშირე 30%–მდეა, შემდგომი 3 წლის განმავლობაში [83]. აქედან გამომდინარე, მიუხედავად რანდომიზებული კვლევების არარსებობისა, მკურნალობა ნაჩვენებია >65 წლის ასაკის პაციენტებთან, ვისაც შრატის TSH მუდმივად <0,1 მსე/ლ-ია, აღნიშნული სერიოზული გვერდითი მოვლენებისა და კლინიკურად გამოვლენილ ჰიპერთირეოზად პროგრესირების რისკის თავიდან ასაცილებლად. მკურნალობის საკითხი შესაძლოა, აგრეთვე, განიხილებოდეს >65 წლის ასაკის პაციენტებში, როდესაც TSH-ის დონე არის 0,1-0,39 მსე/ლ, რადგან ამ დროს მაღალია წინაგულთა ფიბრილაციის რისკი. ასევე, შესაძლოა გონივრული იყოს <65 წლის ასაკის სიმპტომური პაციენტების მკურნალობა, რომელთა TSH <0,1 მსე/ლ პროგრესირების რისკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით რისკის ფაქტორებისა და თანმხლები დაავადებების არსებობის დროს.

რეკომენდაციები

14 სუბკლინიკური ჰიპერთირეოზის მკურნალობა რეკომენდებულია გრეივსის დაავადების მქონე >65 წლის ასაკის პაციენტებთან, რომელთა TSH მუდმივად <0,1 მსე/ლ. 1, ØØOO

15 გრეივსის სუბკლინიკური ჰიპერთირეოზის პირველი რიგის თერაპია უნდა იყოს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობა. 1, ØØOO

თირეოიდული კრიზი

თირეოიდული კრიზი, რომლის დროსაც სიკვდილობის სიხშირე 10%–ია, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობაა და მოითხოვს სწრაფ დიაგნოსტიკასა და გადაუდებელ მკურნალობას [84, 85]. აღნიშნულ მდგომარეობაში ვლინდება მრავალი ორგანოს დეკომპენსაცია, რასაც თან ახლავს ცნობიერების დარღვევა, მაღალი ტემპერატურა, გულის უკმარისობა, დიარეა და სიყვითლე. პაციენტებთან მწვავე გრეივსის თირეოტოქსიკოზით, თირეოიდული კრიზის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებია: ცხელება, ტაქიკარდია, არითმია, გულის შეგუბებითი უკმარისობა, აჟიტაცია, დელირიუმი, ფსიქოზი, სტუპორი, კომა, გულისრევა, ღებინება, დიარეა, ღვიძლის უკმარისობა და დადგენილი მაპროვოცირებელი ფაქტორების არსებობა [86]. „ბურჩ–ვართოვსკის სკალის" სისტემა აფასებს ინდივიდუალური გამოვლინების სიმძიმეს: ≥ 45 ქულა შეესაბამება თირეოიდულ კრიზს, 25 – 44 ქულა კლასიფიცირდება როგორც მოსალოდნელი თირეოიდული კრიზი, ხოლო < 25 ქულა მიუთითებს, რომ თირეოიდული კრიზი ნაკლებ სავარაუდოა. იაპონიაში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა გამოკითხვებმა გამოავლინა თირეოიდული კრიზით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი და, შესაბამისად, შემუშავებული იქნა მრავალმხრივი მკურნალობის სქემა, რომელიც მოიცავს მეთიმაზოლის ან პროპილთიოურაცილის (40 – 400 მგ ყოველ 8 საათში) ინტრავენურ ინიექციას, გლუკოკორტიკოიდებს (მეთილპრედნიზოლონი, 50 მგ ინტრავენურად), ბეტა–ბლოკერებსა (პროპრანოლოლი, 40 მგ ყოველ 6 საათში) და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მონიტორინგს [87]. თირეოიდული კრიზით გამოწვეული სიკვდილობის ყველაზე ხშირი მიზეზი იყო მრავლობითი ორგანოს უკმარისობა, რომელსაც მოყვება გულისა და სასუნთქი სისტემის უკმარისობა, არითმია, დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედების სინდრომი, გასტროინტესტინური პერფორაცია, ჰიპოქსიური ტვინის სინდრომი და სეფსისი [88].

რეკომენდაცია

16 გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებთან თირეოიდული კრიზის დროს უნდა ჩატარდეს მრავალმხრივი მკურნალობა, რაც გულისხმობს: ანტითირეოიდული მედიკამენტებით თერაპიას, გლუკოკორტიკოიდების გამოყენებას, ბეტა-ადრენერგულ ბლოკადას, გამაგრილებელ საბნებს, სითხის ბალანსის აღდგენას, ნუტრიციულ მხარდაჭერას, ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მონიტორინგს. 1, ØØOO

რადიოაქტიური იოდით თერაპია

რადიოაქტიური იოდით თერაპია გამოიყენება 1941 წლიდან; თუმცა, მწირია კარგი დიზაინის მქონე პროსპექტული კვლევები, რაც ტოვებს მრავალ შეკითხვას ჩვენებების, ოპტიმალური დოზირების, ეფექტურობისა და გვერდითი მოვლენების შესახებ [89]. მაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედება უჯრედებზე იწვევს გენეტიკურ დაზიანებას, მუტაციებს, ან უჯრედის სიკვდილს. დნმ–ის დაზიანება რადიაციით განპირობებულია პირდაპირი (მოლეკულური კავშირების გაწყვეტა) და არაპირდაპირი (თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა) ეფექტების კომბინაციით. შედეგად, ვითარდება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება და/ან ფარისებრი ჯირკვლის ზომაში შემცირება. არ არსებობს ინდივიდუალური რადიომგრძნობელობის გამოთვლის, ან რადიოაქტიური იოდით თერაპიაზე კლინიკური პასუხის წინასწარ განსაზღვრის იდეალური მეთოდები.

რადიოაქტიური იოდით თერაპიის ჩვენებები და გამოყენებადი დოზები

პაციენტები, რომლებსაც აღენიშნებათ ანტითირეოიდული პრეპარატების გვერდითი ეფექტები, ან მკურნალობის შემდგომი რეციდივი, არითმიები და თირეოტოქსიკური პერიოდული პარეზი, არიან რადიოაქტიური იოდით თერაპიის კანდიდატები. ანტითირეოიდული თერაპია, ქირურგიული მკურნალობა და რადიოაქტიური იოდით თერაპია ერთმანეთს უშუალოდ შედარებულია მხოლოდ ერთ კვლევაში [90]. აღნიშნულ რანდომიზებულ კვლევაში, რეციდივის რისკი ყველაზე მაღალი იყო ანტითირეოიდული პრეპარატებით მკურნალობის შემდეგ, თუმცა ავადობის დღეებისა და თერაპიით კმაყოფილების თვალსაზრისით მნიშვნე-

ლოვანი განსხვავება არ გამოვლინდა. გრეივსის დაავადების მკურნალობის ხარჯეფექტურობის თვალსაზრისით არსებობს წინააღმდეგობრივი მონაცემები [91-94]. ზოგიერთ ცენტრში რადიოაქტიური იოდით თერაპია გამოიყენება პედიატრიულ პაციენტებთან, რა შემთხვევაშიც აბლაციური დოზის გამოყენების მიზანი უნდა იყოს სწრაფი ჰიპოთირეოზის განვითარება. სხვა გვერდითი ეფექტები არ განსხვავდება ზრდასრულებში გამოვლენილი გვერდითი ეფექტებისგან [95]. რადიოაქტიური იოდით თერაპია უკუნაჩვენებია ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში, დაორსულება უნდა გადაიდოს თერაპიიდან სულ მცირე 6 თვით. არ არსებობს მტკიცებულებები რადიოაქტიური იოდით თერაპიის უარყოფითი ეფექტების შესახებ ფერტილობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, თვითნებურ აბორტებზე, მკვდრადშობადობაზე, ან ნაყოფის თანდაყოლილ ანომალიებზე [96]. იგივე 6–თვიანი პერიოდი ვრცელდება მამრობითი სქესის პაციენტებზეც. მინიმალური ეფექტური დოზის გამოყენება რადიოაქტიური იოდით თერაპიაში მნიშვნელოვანი პრინციპია, მაგრამ რთულია ბალანსის მიღწევა ჰიპერთირეოზის სწრაფ შემსუბუქებასა და ჰიპოთირეოზის თავიდან აცილებას შორის. აქედან გამომდინარე, დოზის დეტალური გამოთვლის ნაცვლად გამოიყენება ფიქსირებული დოზები, მაგალითად, 185, 350, ან 555 MBq, რაც ეფუძნება დადასტურებულ კლინიკურ პარამეტრებს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის ზომა [89].

ფარისებრი ჯირკვლის ზომასა და ფუნქციაზე გავლენა

რადიოაქტიური იოდით თერაპიის შემდგომ პაციენტების 50-90%-ში ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია 3-12 თვეში ნორმალიზდება [89]. პაციენტი უნდა იყოს ინფორმირებული, რომ შესაძლოა დასჭირდეს რადიოაქტიური იოდით თერაპიის განმეორებითი კურსი. ჰიპოთირეოზის განვითარების სიხშირე მკურნალობიდან ერთი წლის შემდეგ 5-50%-ია და პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია გამოყენებული რადიოაქტიური იოდის დოზასთან. მას მოსდევს ყოველწლიური ჰიპოთირეოზის სიხშირე 3-5%, რომელიც მეტწილად არ უკავშირდება რადიოაქტიური იოდის დოზას [97]. დაბალი დოზით რადიოაქტიური იოდით მკურნალობის შემთხვევაშიც კი, რაც ზრდის პერსისტიული/მორეციდივე დაავადების სიხშირეს, ჰიპოთირეოზი გარდაუვალია [98]. ფარისებრი ჯირკვლის მოცულობა რადიოაქტიური იოდით თერაპიიდან ერთი წლის განმავლობაში უბრუნდება ნორმას [97]. რადიოაქტიური იოდით მკურნალობა არ არის უკუნაჩვენები დიდი ზომის ჩიყვის დროს, მათ შორის, რეტროსტერნალური, ან ინტრათორაკალური გავრცელებისას. ანტითირეოეიდული პრეპარატების მიღება დროებით უნდა შეჩერდეს რადიოაქტიური იოდით მკურნალობამდე ერთი კვირით ადრე და მკურნალობიდან ერთი კვირის განმავლობაში [99].

რადიოაქტიური იოდით მკურნალობის გვერდითი ეფექტები

რადიოაქტიური იოდით მკურნალობის შემდეგ შესაძლოა გამოვლინდეს ფარისებრი ჯირკვლის საპროექციო არეში ტკივილი, შეშუპება და სიალოადენიტი. გრეივსის დაავადება ასოცირდება ავადობისა და სიკვდილობის ზრდასთან [100, 101]. მისი მკურნალობა ამცირებს სიკვდილობას [102], თუმცა, რადიოაქტიური იოდით მკურნალობა per se არ ზრდის სიკვდილობას [89]. არ არსებობს მტკიცებულებები, რომ რადიოაქტიური იოდით თერაპიის შემდეგ ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევები, ასევე, საერთო სიკვდილობა კიბოს გამო იზრდება [103]. რადიოაქტიური იოდით მკურნალობის შემდგომი თირეოიდული კრიზი უიშვიათესია, ანტითირეოიდული პრეპარატებით წინასწარ არანამკურნალებ პაციენტებთან ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები, ჩვეულებრივ, არ არის მომატებული რადიოაქტიური იოდით თერაპიის შემდეგ, მაგრამ ქვეითდება მკურნალობიდან რამდენიმე დღეში [104]. გარდამავალი ჰიპერთირეოზის თავიდან აცილება შესაძლებელია რადიოაქტიური იოდით მკურნალობის წინ ანტითირეოიდული პრეპარატების გამოყენებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანტითირეოიდული მედიკამენტების მიღება განახლდება რადიოაქტიური იოდით თერაპიის შემდეგ [105]. მკურნალობის შემდომი თირეოტოქსიკოზი დაკავშირებულია anti-TSH-R-ის მაღალ დონესთან. რთულია მკურნალობის არაეფექტურობისა და გარდამავალი ჰიპერთირეოზის დიფერენციაცია. თუმცა, თუ თირეოტოქსიკოზი არ გაუმჯობესდა 3 თვეში, საფიქრებელია, რომ მკურნალობა წარუმატებელია. გარდამავალი ჰიპოთირეოზი ვითარდება შემთხვევათა 3-20%-ში და არ არის აუცილებელი, რომ გადაიზარდოს პერმანენტულ ჰიპოთირეოზში, მაგრამ, ზოგადად, რეკომენდებულია თირეოიდული ჰორმონებით მკურნალობა გრეივსის ორბიტოპათიის უეცარი განვითარების თავიდან ასაცილებლად. რადიოაქტიური იოდით მკურნალობის შემდეგ გრეივსის ორბიტოპათიის de novo განვითარება, ან გამწვავება გვხვდება შეთხვევათა 15-33%-ში [106]. გლუკოკორტიკოიდების პროფილაქტიკური მიღება გრეივსის ორბიტოპათიის განვითარებას უშლის ხელს და, ამავე დროს, არ ახდენს გავლენას ფარისებრი ჯირკვლის ფუქციის საბოლოო გამოსავალზე [107].

ცხრილი 4. გრეივსის ჰიპერთირეოზის გამო ჩატარებული ტოტალური თირეოიდექტომიის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
ჰიპერთირეოზის რეციდივის რისკის არარსებობა	პოსტოპერაციული ჰიპოპარათირეოზის რისკი
რადიაციის რისკის არარსებობა	შებრუნებული ნერვის პარეზის რისკი
ჰიპერთირეოზის სწრაფი კუპირება	პერმანენტული ჰიპოთირეოზი
გრეივსის ორბიტოპათიაზე უარყოფითი გავლენის შესახებ მონაცემების არარსებობა	ანესთეზიასა და ოპერაციასთან დაკავშირებული რისკები
	ჰოსპიტალიზაცია
	ხარჯი
	პერმანენტული ნაწიბური

რეკომენდაციები

17 რადიოაქტიური იოდით თერაპიის აბსოლუტური ჩვენება არ არსებობს, თუმცა, ის ხშირად რეკომენდებულია პაციენტებთან, რომლებსაც აღენიშნებათ ანტითირეოიდული მედიკამენტების ფონზე გვერდითი ეფექტები, ან მკურნალობის შემდგომი რეციდივი. 1, ØØOO

18 რადიოაქტიური იოდით თერაპიის ეფექტურობისა და შესაძლო გვერდითი ეფექტების ყველა ასპექტის შესახებ პაციენტს უნდა მივაწოდოთ როგორც ვერბალური, ისე წერილობითი ინფორმაცია. 1, ØØOO

19 თუ გამოყენებულია ანტითირეოიდული მედიკამენტები, მათი მიღება დროებით უნდა შეჩერდეს, რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე დაახლოებით 1 კვირით ადრე და რადიოაქტიური იოდით თერაპიიდან 1 კვირის განმავლობაში, რათა არ შემცირდეს რადიოაქტიური იოდით თერაპიის ეფექტურობა. 1, ØØØØ

20 დოზის გამოთვლა არ იძლევა ხანგრძლივი ეუთირეოზის გარანტიას და სრულიად მისაღებია რადიოაქტიური იოდის ფიქსირებული დოზის შეთავაზება. 1, ØØØO

21 ორსულობა და ლაქტაცია არის რადიოაქტიური იოდით თერაპიის აბსოლუტური უკუჩვენება.
1, ØØØO

22 როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, ჩასახვა უნდა გადავადდეს რადიოაქტიური იოდით თერაპიის ჩატარებიდან სულ მცირე 6 თვით. 1, ØØØO

23 თუ ბავშვებში გამოიყენება რადიოაქტიური იოდით თერაპია, აბლაციური დოზები უნდა შეირჩეს ჰიპოთირეოზის სწრაფად მიღწევის მიზნით. 1, ØØØO

ქირურგია

თირეოიდექტომია ყველაზე ნაკლებად არჩევადი მეთოდია ახლად განვითარებული გრეივსის ჰიპერთირეოზის სამკურნალოდ. ამერიკასა და ევროპაში ჩატარებული უახლესი ანკეტური გამოკითხვის თანახმად, ქირურგია, როგორც პირველი რიგის მკურალობა, წარმოდგენილი იყო შემთხვევათა 0.9%-სა [108] და 2.1%-ში [22], შესაბამისად. მიუხედავად ამისა, თირეოიდექტომია მკურნალობის ეფექტური მეთოდია, როდესაც ჩიყვი დიდი ზომისაა, თან ახლავს პირველადი ჰიპერპარათირეოზი, ან საეჭვოა ავთვისებიანი კვანძების არსებობა, აგრეთვე, როდესაც პაციენტი უარს აცხადებს ანტითირეოიდული პრეპარატების მიღებაზე, რადიოაქტიური იოდით მკურნალობაზე [109], ან არ არის რადიოაქტიური იოდით თერაპიის ჩატარებისთვის შესაბამისი პირობები [2]. თირეოიდექტომიის უპირატესობებია დასხივების რისკის არარსებობა, ჰიპერთირეოზის სწრაფი კუპირება და გრეივსის ორბიტოპათიაზე უარყოფითი გავლენის არარსებობა (ცხრილი 4). თუმცა, თირეოიდექტომია მაღალი დანახარჯის მქონე პროცედურაა, რომელიც ჰოსპიტალიზაციას საჭიროებს, მას ახლავს ანესთეზიისა და ქირურგიული ჩარევის რისკები, რჩება პერმანენტული ნაწიბური და შესაძლოა, განვითარდეს გართულებები. რადიოაქტიური იოდით მკურნალობის მსგავსად, ლევოთიროქსინით ხანგრძლივი ჩანაცვლებითი თერაპია საჭიროა ეუთირეოიდული მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, არჩევის მეთოდია ტოტალური თირეოიდექტომია, რადგან მას გართულებების იგივე რისკი აქვს, რაც სუბტოტალურ ბილატერალურ თირეოიდექტომიას და, ამავე დროს, ჰიპერთირეოზის რეციდივის სიხშირე უფრო დაბალია [110, 111]. ორი სისტემური მიმოხილვით მიღებული ურთიერთსაპირისპირო შედეგების გამო, დღემდე საკამათო საკითხად რჩება, არის თუ არა თირეოიდექტომია რადიოაქტიური იოდით თერაპიასთან შედარებით უფრო ეფექტური, რადიკალური მეთოდი ჰიპერთირეოზის რეციდივის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული სისტემური მიმოხილვებიდან ერთი თირეოიდექტომიის უპირატესობას ასახელებს [110], ხოლო მეორე ზემოაღნიშნულ ორ მეთოდს შორის [73] მნიშვნელოვან განსხვავებას ვერ ადასტურებს.

გართულებების რისკის შესამცირებლად (ჰიპოპარათირეოზი, შებრუნებული ნერვის პარეზი, ჭრილობის ინფექცია, სისხლდენა), ქირურგიული ჩარევა უნდა განახორციელოს გამოცდილმა და დახელოვნებულმა ქირურგმა [112]. ინტრა-, ან პოსტოპერაციული თირეოტოქსიკოზის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, ჰიპერთირეოზი ოპერაციამდე ადეკვატურად უნდა გაკონტროლდეს ანტითირეოიდული პრეპარატებით [109]. კალიუმის იოდიდის ნაჯერი ხსნარის გამოყენება (SSKI) უშუალოდ წინასაოპერაციო პერიოდში (10 დღე), დამხმარე საშუალებაა ფარისებრი ჯირკვლის სისხლმომარაგებისა და ოპერაციის მსვლელობისას სისხლის დანაკარგის შესამცირებლად [113]. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ხსნარს თირეოიდოლოგების 40%-ზე ნაკლები იყენებს [22]. თუ თირეოიდექტომია აუცილებელია ჩატარდეს ჰიპერთირეოზის ადეკვატური კონტროლის მიღწევამდე, ანტითირეოიდულ მედიკამენტებთან ერთად, შესაძლებელია ბეტა-ბლოკერების, გლუკოკორტიკოიდების და, საბოლოოდ, SSKI-ის გამოყენება. D ვიტამინის დეფიციტი უნდა კორეგირდეს იქნას ოპერაციამდე, პოსტოპერაციული ჰიპოკალცემიის რისკის შესამცირებლად [114].

რეკომენდაციები

24 თუ გადაწყვეტილია ქირურგიული ჩარევა, არჩევის მეთოდია ტოტალური თირეოიდექტომია, რაც უნდა ჩაატაროს დახელოვნებულმა ქირურგმა, რომელიც ყოველწლიურად დიდი რაოდენობით თირეოიდექტომიას ატარებს. 1, ØØØØ

25 პერი-, ან პოსტოპერაციული თირეოტოქსიკოზის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, ოპერაციამდე უნდა მოხდეს ეუთირეოზის აღდგენა ანტითირეოიდული მედიკამენტებით. 1, ØØØØ

26 პოსტოპერაციული ჰიპოკალცემიის რისკის შესამცირებლად, D ვიტამინის დეფიციტის კორექცია უნდა მოხდეს ოპერაციამდე. 1, ØØØØ

27 კალიუმის იოდიდის შემცველი ხსნარი შეიძლება დაინიშნოს ქირურგიულ ჩარევამდე 10 დღის განმავლობაში. 2, ØØØO

გრეივსის ჰიპერთირეოზის მკურნალობა ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან

თირეოიდულ დისფუნქციას, როგორც ჰიპერ-, ასევე, ჰიპოთირეოზს, შეიძლება გავლენა ჰქონდეს გრეივსის ორბიტოპათიის მიმდინარეობაზე. ETA/EUGOGO გაიდლაინებისა [115] და იტალიური ერთობლივი შეთანხმების (Italian consensus statement) [116] შესაბამისად, პაციენტებთან გრეივსის ორბიტოპათიით რეკომენ-

Eur Thyroid J 2018;7:167–186
DOI: 10.1159/000490384

დებულია ეუთირეოზის დაუყოვნებელი აღდგენა და სტაბილურად შენარჩუნება. თუმცა, ჰიპერთირეოზის მართვა მნიშვნელოვანი დილემაა გრეივსის ორბიტოპათიის არსებობისას [117]. ანტითირეოიდული მედიკამენტები უშუალო გავლენას არ ახდენს გრეივსის ორბიტოპათიის ბუნებრივ მიმდინარეობაზე, მაგრამ ეუთირეოზის აღდგენით მიღებული შედეგები, შეიძლება, არაპირდაპირ, სასარგებლო იყოს გრეივსის ორბიტოპათიისთვის [118, 119]. ჰიპოთირეოზმა, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს გრეივსის ორბიტოპათიის პროგრესირება [120]. რადიოაქტიური იოდი იწვევს გრეივსის ორბიტოპათიის განვითარებას, ან პროგრესირებას [119, 121, 122], განსაკუთრებით, მწეველებში [123], პირებში, უკვე არსებული [119] და ახლად განვითარებული გრეივსის ორბიტოპათიით [124], რადიოაქტიური იოდის შემდგომ ჰიპოთირეოზის გვიანი კორექციისა [125, 126] და anti-TSH-R-ის მაღალი დონის დროს [127]. როგორც ორმა რანდომიზებულმა კონტროლირებულმა კვლევამ [119, 121] და ორმა მეტაანალიზმა [129, 130] აჩვენა, პაციენტებში, რომლებთანაც რადიოაქტიურ იოდთან დაკავშირებული გრეივსის ორბიტოპათიის განვითარების ან პროგრესირების რისკი მაღალია, ეფექტურია ორალურად გლუკოკორტიკოიდების დაბალი დოზით პროფილაქტიკა [115, 128]. სტეროიდებით პროფილაქტიკა შეიძლება ავიცილოთ პაციენტებში, რომლებსაც არ აქვთ გრეივსის ორბიტოპათია, ან აქვთ მისი არააქტიური ფორმა, თუ არ არის რადიოაქტიურ იოდთან ასოცირებული გრეივსის ორბიტოპათიის პროგრესირების სხვა რისკის ფაქტორები [115, 130]. თირეოიდექტომია არ ახდენს გავლენას გრეივსის ორბიტოპათიის ბუნებრივ მიმდინარეობაზე [122, 131] (ცხრილი 5).

ცხრილი 5. გრეივსის დაავადების შედაგად განვითარებული ჰიპერთირეოზის მკურნალობა გრეივსის ორბიტოპათიის არსებობისას

გრეივსის ორბიტოპათიის სიმძიმისა და აქტივობის ხარისხი	ATD	RAI	Tx
მსუბუქი და არააქტიური	დიახ	დიახ[1]	დიახ
მსუბუქი და აქტიური	დიახ[2]	დიახ[3]	დიახ
საშუალო–მძიმე და არააქტიური	დიახ	დიახ[1]	დიახ
საშუალო–მძიმე და აქტიური	დიახ	არა	არა
მხედველობისთვის სახიფათო	დიახ	არა	არა

ATD - ანტითირეოიდული მედიკამენტები; RAI - რადიოაქტიური იოდით თერაპია; Tx - ტოტალური თირეოიდექტომია;

[1] სტეროიდებით პროფილაქტიკა გარკვეულ შემთხვევებში

[2] სელენის დამატება 6 თვის განამვლობაში

[3] სტეროიდებით პროფილაქტიკა მოწოდებულია [იხ. ტექსტი]

არააქტიური და მსუბუქი ფორმის გრეივსის ორბიტოპათია

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰიპერთირეოზის მკურნალობა იწვევდეს თვალის მხრივ ცვლილებებს და, შესაბამისად, მისი ტაქტიკის შერჩევა ხდება გრეივსის ორბიტოპათიისგან დამოუკიდებლად [116, 117]. რადიოაქტიური იოდით მკურნალობის არჩევისას სტეროიდებით პროფილაქტიკა არ არის ნაჩვენები, თუ გრეივსის ორბიტოპათიის პროგრესირებისთვის სხვა რისკის ფაქტორები არ არის სახეზე [115]. რეაბილიტაციური ქირურგია შეიძლება აუცილებელი იყოს კოსმეტიკური, ან ფუნქციური მიზეზით.

აქტიური და მსუბუქი ფორმის გრეივსის ორბიტოპათია

ჰიპერთირეოზის მკურნალობა მეტწილად არ არის დამოკიდებული გრეივსის ორბიტოპათიაზე და ეფუძნება დადგენილ კრიტერიუმებს [2]. არ არის რანდომიზებული კონტროლირებული კვლევის მონაცემები, რომ ამ ხარისხის გრეივსის ორბიტოპათიის გრძელვადიანი გამოსავალი უკეთესია ანტითირეოიდული მედიკამენტების გამოყენებისას, ვიდრე რადიკალური მკურნალობისას. სტეროიდებით პროფილაქტიკა ნაჩვენებია რადიოაქტიური იოდით მკურნალობისას [130]. თუ არჩეულია ანტითირეოიდული მედიკამენტები, 6 თვით სელენის დამატება აუმჯობესებს მსუბუქ და აქტიურ გრეივსის ორბიტოპათიას და ახდენს მის უფრო მძიმე ფორმად პროგრესირების პრევენციას. [132].

არააქტიური და საშუალო–მძიმე ფორმის გრეივსის ორბიტოპათია

გრეივსის ჰიპერთირეოზის მკურნალობის ტაქტიკის არჩევანი, ძირითადად, არ არის დამოკიდებული აღნიშნული ფორმის გრეივსის ორბიტოპათიაზე. თუ არჩეულია რადიოაქტიური იოდი, სტეროიდებით პროფილაქტიკა შეიძლება თავიდან იყოს აცილებული, თუ სახეზე არ არის გრეივსის ორბიტოპათიის ხელახალი აქტივაციის სხვა რისკის ფაქტორები [117].

აქტიური და საშუალო–მძიმე ფორმის გრეივსის ორბიტოპათია

ჰიპერთირეოზის სწრაფი კორექცია ანტითირეოიდული მედიკამენტებით და ეუთირეოზის სტაბილურად შენარჩუნება თავისთავად სასარგებლოა გრეივსის ორბიტოპათიისთვის და ამიტომ, მკაცრად რეკომენდებულია [60, 61, 115]. თირეოიდულ აბლაციას, როგორც მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდს, ბევრი მომხრე ჰყავს [133]. მოწოდებულია გრეივსის ორბიტოპათიის დაუყოვნებელი თერაპია.

მხედველობისთვის სახიფათო გრეივსის ორბიტოპათია

მხედველობისთვის სახიფათო გრეივსის ორბიტოპათია გადაუდებელი ენდოკრინული მდგომარეობაა, ოპტიკური დისთირეოიდული ნეიროპათიის და/ან რქოვანას დაზიანების შედეგად მხედველობის დაკარგვის რისკის გამო. ჰიპერთირეოზის სამკურნალოდ მოწოდებულია ანტითირეოიდული მედიკამენტები და დაუყოვნებელი ჩვენებით ინტრავენურად სტეროიდების მაღალი დოზები, ხოლო 2-4 კვირის განმავლობაში სტეროიდებზე ადეკვატური პასუხის არარსებობის შემთხვევაში, შემდგომი ორბიტალური დეკომპრესია [115].

რეკომენდაციები

28 გრეივსის ორბიტოპათიის დროს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ჰიპერთირეოზის კუპირება ანტითირეოიდული მედიკამენტებით და ეუთირეოზის სტაბილურად შენარჩუნება. 1, ØØØØ

29 რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე, აქტიური და მსუბუქი ფორმის გრეივსის ორბიტოპათიის დროს, ან რადიოაქტიური იოდით მკურნალობასთან ასოცირებული ორბიტოპათიის განვითარების, ან პროგრესირების რისკის არსებობისას, პაციენტებს უნდა ჩაუტარდეთ გლუკოკორტიკოიდებით პროფილაქტიკა. 1, ØØØØ

30 აქტიური და საშუალო–მძიმე ფორმის გრეივსის ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან პრიორიტეტი ენიჭება გრეივსის ორბიტოპათიის მკურნალობას. ეუთირეოზი დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს და სტაბილურად შენარჩუნდეს ანტითირეოიდული მედიკამენტებით. 1, ØØØØ

31 მხედველობისთვის სახიფათო გრეივსის ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან მკურნალობა უნდა ჩატარდეს ანტითირეოიდული მედიკამენტებით. 1, ØØOO

32 არააქტიური გრეივსის ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან ჰიპერთირეოზის მკურნალობა შეიძლება შეირჩეს გრეივსის ორბიტოპათიისგან დამოუკიდებლად. 1, ØØOO

ორსულობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი

ქალები, რომლებიც გეგმავენ ორსულობას

მკურნალობის ტაქტიკა დამოკიდებულია პაციენტის არჩევანზე, ავადმყოფობის ისტორიაზე, anti-TSH-R–ის მაღალ ტიტრსა და ორსულობისთვის მოსამზადებელ პერიოდზე [134–138]. არასაკმარისად კონტროლირებული ჰიპერთირეოზის დროს ორსულობა უნდა გადაიდოს ეუთირეოზის მიიღწევამდე, რომელიც უნდა დადასტურდეს 2 თანმიმდევრული კვლევით 2 თვის განმავლობაში სტაბილური მკურნალობის ფონზე. პაციენტი უნდა იყოს ინფორმირებული შემდეგ საკითხებზე: [1] ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობასთან ასოცირებული თანდაყოლილი დეფექტების რისკი; [2] გესტაციის 6-10 კვირის ვადაზე ანტითირეოიდული მედიკამენტების შესაძლო შეწყვეტა; [3] ორსულობის პირველ ტრიმესტრამდე, ან პირველი ტრიმესტრის განმავლობაში ანტითირეოიდული მედიკამენტით მკურნალობის საჭიროებისას პროპილთიურაცილით მკურნალობის უპირატესობა; [4] ორსულობის 16 კვირის ვადის შემდეგ პროპილთიურაცილის ნაცვლად მეთიმაზოლით მკურნალობის გაგრძელება; [5] „დაბლოკე და ჩაანაცვლე" რეჟიმის არგამოყენება. ორსულობა უნდა დაიგეგმოს რადიოაქტიური იოდით მკურნალობიდან 6 თვის შემდეგ, ამ პერიოდის განმავლობაში რეკომენდებულია კონტრაცეფცია. თირეოიდექტომია ნაჩვენებია ანტითროიდული მედიკამენტებით, ან რადიაქტიული იოდით მკურნალობის უკუჩვენების, ან პაციენტის უარის შემთხვევაში. პოსტოპერაციულად, ეუთირეოზი უნდა დადასტურდეს ჩასახვამდე.

რეკომენდაციები

33 გრეივსის დაავადების მქონე რეპროდუქციული ასაკის ქალებს უნდა შეეთავაზოთ ჩასახვამდე კონსულტაცია და ორსულობის დაგეგმვამდე, ისინი უნდა იყვნენ სტაბილურ ეუთირეოიდულ მდგომარეობაში. 1, ØØOO

34 გრეივსის დაავადების მქონე ქალები ინფორმირებული უნდა იყვნენ, რომ, ორსულობის დადასტურებისთანავე, დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს. 1, ØØØØ

35 ორსულობის დაგეგმვისას და/ან ორსულობის პირველ ტრიმესტრში მეთიმაზოლით მკურნალობაზე მყოფი ქალები გადაყვანილი უნდა იყვნენ პროპილთიოურაცილზე. 1, ØØØØ

ორსულები და გრეივსის დაავადება

ანტითირეოიდული მედიკამენტის საწყისი დღიური დოზა დამოკიდებულია ჰიპერთირეოზის სიმძიმეზე: მეთიმაზოლი 5–15 მგ, კარბიმაზოლი 10–30 მგ, პროპილთიოურაცილი 50–200 მგ [139, 140]. მეთიმაზოლით (კარბიმაზოლით) მკურნალობასთან ასოცირებული ემბრიოპათიები, როგორიცაა დისმორფული სახე, კანის აპლაზია, ქოანას, ან საყლაპავის ატრეზია, მუცლის კედლის დეფექტი, ჭიპის თიაქარი, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, გამოვლინდება უპირატესად გესტაციის 6-10 კვირის ვადაზე მეთიმაზოლის ზეგავლენით ბავშვების 2-4%-ში [137, 141]. პროპილთიურაცილით მკურნალობისას თანდაყოლილი დეფექტების სიხშირე იგივეა, რაც მეთიმაზოლით მკურნალობის დროს, თუმცა, ნაკლებად მძიმე სპექტრით გამოვლინდება, ძირითადად, წარმოდგენილია სახისა და კისრის ცისტებით, მამრობითი სქესის ახალშობილებში საშარდე გზების პათოლოგიებით [142]. პროპრანოლოლი 10-40 მგ, 3-4-ჯერ დღეში შეიძლება დაინიშნოს; თუმცა, ხანგრძლივი მკურნალობა არ არის რეკომენდებული, რადგან ბეტა–ბლოკერები ასოცირებულია ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხებასთან, ნაყოფის ბრადიკარდიასა და ნეონატალურ ჰიპოგლიკემიასთან [143]. ანტითირეოიდულ მედიკამენტებზე ალერგიის / უკუჩვენების შემთხვევაში, ნაჩვენებია თირეოიდექტომიის ჩატარება ორსულობის მეორე ტრიმესტრში [136, 144].

უარყოფითი anti-TSH-R–ის შემთხვევაში, პაციენტების მხოლოდ 5%-ში ვითარდება რეციდივი ანტითირეოიდული მედიკამენტების შეწყვეტიდან 8 კვირის განმავლობაში [145]. ამგვარად, როცა ორსულობა დასტურდება და მოსალოდნელია რემისიის არსებობა, ანტითირეოიდული მედიკამენტით მკურნალობა შეიძლება შეწყდეს და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია უნდა გაკონტროლდეს 2 კვირაში ერთხელ, ორსულობის პირველი ტრიმესტრის განმავლობაში. თუ ეუთირეოზი ნარჩუნდება, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მონიტორინგი ხდება ყოველ 4 კვირაში ერთხელ, ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრების განმავლობაში. ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ რეციდივის განვითარების რისკი მაღალია შემდეგ შემთხვევებში: მკურნალობის ხანგრძლივობა ნაკლები 6 თვეზე, ანტითირეოიდული მედიკამენტების მაღალი დღიური დოზა, მაღალი anti-TSH-R–ის ტიტრი, მედიკამენტური თერაპიის ფონზე დაბალი/სუპრესიული TSH, გრეივსის ორბიტოპათიის არსებობა [146, 147]. ორსულთა თავისუფალი T4–ის (ან საერთო T4) მაჩვენებელი უნდა შენარჩუნდეს ორსულთა სპეციფიკური ნორმის ზედა ზღვართან [148]. მესამე ტრიმესტრში ანტითირეოიდული მკურნალობის შეწყვეტა შესაძლებელია ორსულებთან, ვისთანაც anti-TSH-R აღარ ფიქსირდება [135, 136]. საპირისპიროდ ამისა, ორსუ-

ლობის ბოლო პერიოდში დედისეული anti-TSH-R–ის მაღალი ტიტრი [ზედა ზღვარზე 3-ჯერ და უფრო მეტად] ნეონატალური დისთირეოზის მონიტორინგის ჩვენებაა [149–151]. ამასთან დაკავშირებით, როგორც ძლიერი რეკომენდაცია, ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების მქონე ყველა პაციენტს, ორსულობის დადგომისთანავე უნდა განესაზღვროს anti-TSH-R სენსიტიურად შემბოჭველი, ან უჯრედზე დაფუძნებული ფუნქციური ბიორეაგენტებით, თუ ანტისხეულების ტიტრი მომატებულია, კვლევა უნდა გამეორდეს გესტაციის 18-22 კვირის ვადაზე [5, 21–23, 43, 44, 149, 150]. დაბოლოს, ფეტალური/ნეონატალური ჰიპერთირეოზი საჭიროებს დაუყოვნებელ მართვას მეთიმაზოლის, ბეტა–ბლოკერისა და კარდიოვასკულარული შემანარჩუნებელი თერაპიის გამოყენებით [43].

რეკომენდაციები

36 ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების მქონე ყველა პაციენტს, ორსულობის დადგომისთანავე უნდა განესაზღვროს anti-TSH-R სენსიტიურად შემბოჭველი, ან უჯრედზე დაფუძნებული ფუნქციური ბიორეაგენტებით, თუ ანტისხეულების ტიტრი მომატებულია, კვლევა უნდა გამეორდეს გესტაციის 18-22 კვირის ვადაზე. 1, ØØØØ

37 თუ დედის anti–TSH-R-ის ტიტრი რჩება მაღალი (>3-ჯერ ზღვრულ მაჩვენებელზე) რეკომენდებულია ნაყოფის თირეოიდული დისფუნქციის მონიტორინგი, მთელი ორსულობის განმავლობაში. 1, ØØØØ

38 ორსულობის დროს უნდა შეირჩეს ანტითირეოიდული მედიკამენტების მინიმალური ეფექტური დოზა და არ გამოიყენება „დაბლოკე და ჩაანაცვლე“ რეჟიმი. 1, ØØØØ

39 დედის თავისუფალი T4 (საერთო T4) და TSH უნდა განისაზღვროს მკურნალობის დაწყებიდან ყოველ 2 კვირაში და სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის შემდეგ, ყოველ 4 კვირაში. 1, ØØOO

40 თუ გესტაციის 16 კვირის შემდეგ საჭიროა ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობა, უნდა განიხილებოდეს პროპილთიოურაცილის შეცვლა მეთიმაზოლით. 1, ØOOO

41 მეთიმაზოლის (<5-10 მგ დღეში), ან პროპილთიოურაცილის (<50-100 მგ დღეში) დაბალი დოზებით მკურნალობისას, ანტითირეოიდული მედიკამენტების მიღება შესაძლოა შეწყდეს გესტაციის 6-10 კვირის ვადამდე. 2, ØOOO

მშობიარობის შემდომი პერიოდი

დანიასა და იაპონიაში ჩატარებული კვლევების მიხედვით გრეივსის დაავადების რეციდივის ყველაზე მაღალი რისკი გამოვლინდა მშობიარობის შემდგომ 7-9 თვეში (RR 3.8) [135, 152]. ანტითირეოიდული მედიკამენტის მხოლოდ მცირე რაოდენობა აღწევს დედის რძეში, დედისა და ბავშვისთვის უსაფრთხოდ ითვლება პროპილთიურაცილისა (<250 მგ) და მეთიმაზოლის (<20 მგ) დაბალი დოზით მკურნალობა. დედამ ანტითირეოიდული მედიკამენტი უნდა მიიღოს უშუალოდ ბავშვის ძუძუთი გამოკვების შემდეგ, განაწილებული რამდენიმე მიღებად [153, 154].

რეკომენდაციები

42 გრეივსის დაავადების მქონე მეძუძურ დედებს სამკურნალოდ უნდა შეეთავაზოთ იგივე მკურნალობა, რაც არამეძუძურ ქალებს. 1, ØØOO

43 ლაქტაციის პერიოდში რეკომენდებულია მეთიმაზოლით მკურნალობა, პროპილთიოურაცილით გამოწვეული ჰეპატოტოქსიკურობის საფრთხის გათვალისწინებით. 1, ØØOO

ხანდაზმულები, ბავშვები და ზრდასრულები და იმუნური რეკონსტიტუცია

ხანდაზმულები

ასაკის მატებასთან ერთად, გრეივსის დაავადების სიხშირის კლების მიუხედავად, ცალკეული შემთხვევები შეიძლება დაფიქსირდეს 70 ან 80 წელს გადაცილებულ პაციენტებთან. მათ შესაძლებელია გამოუვლინდეთ ტიპური სიმპტომები, როგორიცაა, სხეულის მასის კლება, ტრემორი, აჟიტაცია და სიცხის აუტანლობა; თუმცა, ასაკოვან პირებში დაავადება ხშირად ვლინდება ზოგადი სიმპტომების სახით, როგორიცაა, დაღლილობა, ხასიათის ცვლილებები, ჰაერის უკმარისობა („აპათიური თირეოტოქსიკოზი’’). ასევე, ხანდაზმული ასაკის პაციენტებთან უფრო ხშირია მძიმე გამოვლინებები, წინაგულების ფიბრილაცია, გულის შეგუბებითი უკმარისობა, ან მწვავე იშემიური კორონარული სინდრომი. მძიმე თირეოტოქსიკოზის მქონე ასაკოვანი პირების მკურნალობა უნდა წარიმართოს ახალგაზრდა პაციენტების მკურნალობის მსგავსად, რაც გულისხმობს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალოობის დაწყებას ეუთირეოზის მისაღწევად და, საჭიროებისამებრ, ბეტა-ბლოკერების გამოყენებას. წინაგულების ფიბრილაციის, ან სხვა ტაქიარითმიის, თუ გულის სხვა დაავადებების არსებობისას, დანერგილი პრაქტიკაა ადრეულ ეტაპზე რადიკალური თერაპია, ჩვეულებრივ, რადიოაქტიური იოდით თერაპია, რეკურენტული ჰიპერთირეოზის მიერ გამოწვეული შემდგომი კარდიალური გართულებების თავიდან ასაცილებლად. ხანდაზმულ, ან დაუძლურებულ პაციენტებში შედარებით მსუბუქი ჰიპერთირეოზითა და კარდიალური გართულებების გარეშე, მეთიმაზოლის (კარბიმაზოლი) დაბალი დოზის (2,5-5 მგ დღეში) ხანგრძლივი მიღება, ეფექტური და კარგად ასატანი თერაპიაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რადიოაქტიური იოდით თერაპია არაა ხელმისაწვდომი და/ან არსებობს უკუჩვენებები თირეოიდექტომიის მიმართ. ასაკოვან პაციენტებში უფრო ხშირია ანტითირეოიდული მედიკამენტებით გამოწვეული აგრანულოციტოზი [155] და მნიშვნელოვანია ამის შესახებ პაციენტის გაფრთხილება, ხოლო კოგნიტური დარღვევების შემთხვევაში, პაციენტის ოჯახის წევრებსა და მომვლელებს უნდა მიეწოდოთ წერილობითი ინფორმაცია. ამავდროულად, ხანდაზმულ პაციენტებში გაცილებით უფრო მაღალია გრეივსის ორბიტოპათიის განვითარების ალბათობა, ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეფასდეს: შესაბამის შემთხვევაში, თამბაქოს მწეველობის შეწყვეტის რჩევა და მკურნალობასთან დაკავშირებული ჰიპოთირეოზის მაქსიმალურად თავიდან აცილება.

რეკომენდაციები

44 ხანდაზმულ პაციენტებს, რომელთაც აქვთ ჰიპერთირეოზით გამოწვეული წინაგულთა ფიბრილაცია, გულის უკმარისობა, ან გულის იშემიური დაავადების სიმპტომები, უნდა ჩაუტარდეთ რადიკალური თერაპია, როგორც წესი, რადიოაქტიური იოდით. 1, ØØØO

45 მეთიმაზოლის (კარბიმაზოლი) ხანგრძლივად მიღება უნდა განიხილებოდეს დამაკმაყოფილებელ თერაპიად გრეივსის დაავადების მსუბუქი ფორმის მქონე ხანდაზმულ პაციენტებში. 2, ØOOO

ბავშვები და მოზარდები

ბავშვებსა და მოზარდებში გრეივსის დაავადება გვიან იჩენს ხოლმე თავს, ხოლო ისეთი სიმპტომები, როგორიცაა დასწავლის უნარის დაქვეითება, ქცევის ცვლილებები, შფოთვა, ძილის დარღვევა, შესაძლოა წლების განმავლობაში არსებობდეს, სანამ მათი გამომწვევი მიზეზის იდენტიფიცირება მოხდება. უნდა აღინიშოს, რომ მოზარდ გოგონებში, რომელთაც აღენიშნებათ სხეულის მასის კლება, ხშირად არასწორად ხდება კვებითი დარღვევების დიაგნოსტირება. ზრდასრულებთან შედარებით, მოზარდების ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის გამოსავალი არაკეთილსაიმედოა. ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის შემდგომი ორი, ან მეტი წლის განმავლობაში, რემისიის სიხშირე არ აღემატება 25%-ს, რაც აუცილებელს ხდის ბავშვების უმეტესობაში ანტითირეოიდული მედიკამენტების ხანგრძლივად გამოყენებას. მეტიც, ანტითირეოიდული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების სიხშირე უფრო მაღალია ბავშვებში, რაც ნიშნავს, რომ პროპილთიოურაცილი აღარაა რეკომენდებული ბავშვებისთვის, მის მიერ გამოწვეული ღვიძლის უკმარისობის გამო, ყოველი 2000-დან 1 ბავშვში. თუ მოზარდს განუვითარდება გვერდითი მოვლენები ანტითირეოიდული მედიკამენტების მიღების პერიოდში, რეკომენდებულია ადრეული ოპერაცია ტოტალური თირეოიდექტომიის სახით. უკანაკნელ წლებში, რადიოაქტიური იოდის უსაფრთხოების შესახებ პოზიციები უფრო გამყარდა, განსაკუთრებით პოსტპუბერტული ასაკის ახალგაზრდებში. შესაბამისად, მეთიმაზოლის (კარბიმაზოლი) დაბალი დოზებით ხანგრძლივი მკურნალობა და შემდგომ, საჭიროების შემთვევაში, 16 წლის ასაკში ოპერაცია, ან რადიოაქტიური იოდით თერაპიის ჩართვა მკურნალობაში, ყველაზე ხშირად გამოყენებადი სამკურნალო სქემაა ამ ასაკობრივ ჯგუფში. ჰიპერ-, თუ ჰიპოთირეოზის ნებისმიერ ეპიზოდს, როგორც მკურნალობის შედეგს, მაღალი ალბათობით გავლენა ექნება აკადემიურ მოსწრებაზე და ეს ფაქტორი გასათვალისწინებილია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას.

რეკომენდაციები

46 ბავშვებთან და მოზარდებთან თავიდან უნდა იყოს აცილებული პროპილთიოურაცილის გამოყენება. 1, ØØØØ

47 გრეივსის დაავადების მქონე ბავშვებთან მეთიმაზოლის (კარბიმაზოლი) ხაგრძლივი გამოყენება უნდა დარჩეს მკურნალობის მთავარ მეთოდად. 1, ØØØO

48 ბავშვებთან რადიკალური თერაპიის ძირითადი მეთოდი არის თირეოიდექტომია, თუმცა პოსტპუბერტატულ ასაკში შესაძლოა განიხილებოდეს რადიოაქტიური იოდით მკურნალობაც. 2, ØØOO

იმუნური რეკონსტიტუცია

იმუნური რეკონსტიტუციული გრეივსის დაავადება პირველად დაფიქსირდა გაფანტული სკლეროზით დაავადებულ პაციენტებში, რომლებიც მკურნალობის მიზნით იღებდნენ ლიმფოციტების დამაქვეითებელ ანტისხეულებს ალემტუზუმაბის სახით (Campath-H1). ეს მკურნალობა იწვევს თავდაპირველ ლიმფოპენიას, მაგრამ 12-24 თვის შემდეგ, ლიმფოციტების პოპულაციის აღდგენასთან ერთად, პაციენტების 20-30%-ს უვითარდება anti-TSH-R დადებითი გრეივსის დაავადება. გრეივსის დაავადების ასეთივე ხასიათი შეინიშნება აივ–ინფიცირებულ პაციენტებთან, რომლებიც იმყოფებიან აქტიურ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე. ამ დროს CD4 ლიმფოციტების რიცხვის ზრდასთან ერთად ვითარდება ჰიპერთირეოზი. იმუნური რეკონსტიტუციული გრეივსის დაავადება, ასევეა პაციენტებთან, რომლებსაც ჩაუტარდათ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია. შემთხვევათა უმეტესობაში, ჰიპერთირეოზი მართვადია, დამოკიდებულია ზოგად მდგომარეობაზე და არ წარმოადგენს არსებული იმუნომოდულაციური თერაპიის შეწყვეტის ჩვენებას. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ ანგარიშებში ასეთ პაციენტებთან მოწოდებული იყო რადიკალური თერაპია, დღეისათვის დაგროვებული გამოცდილება გვთავაზობს, რომ მათი მართვა შესაძლებელია „სპონტანური'' გრეივსის დაავადების მქონე პაციენტების მსგავსად. ვინაიდან ასეთ შემთხვევებში იმუნოლოგიური შეტევა შეიძლება გარდამავალი იყოს, გონივრული მიდგომაა ანტითირეოიდული მედიკამენტებებით მკურნალობა, სანამ მოცირკულირე anti-TSH-R არაგანსაზღვრადი არ გახდება.

რეკომენდაციები

49 იმუნომოდულაციური თერაპიით გამოწვეული გრეივსის ჰიპერთირეოზი არ არის არც აღნიშნული იმუნომოდულაციური თერაპიის შეწყვეტის, არც ჰიპერთირეოზის რადიკალური მკურნალობის აუცილებელი ჩვენება. 1, ØOOO

50 იმუნური რეკონსტიტუციური გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებში შრატის anti–TSH–R-ის შემდგომი მონიტორინგი შეიძლება გამოიყენებოდეს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის. 2, ØOOO

პერსპექტივები და დასკვნები

მიმდინარე პრეკლინიკური და კლინიკური კვლევები აფასებს იმ ახალი მედიკამენტების და/ან ნივთიერებების ეფექტურობას, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ გრეივსის დაავადების ბუნებრივი მიმდინარეობის შეცვლა პათოგენეზზე ზემოქმედებით. აღნიშნული თერაპიული აგენტები მოიცავს TSH-R–ის მონოკლონურ ანტისხეულებს, იმუნომოდულაციურ TSH-R–ის პეპტიდებს და მცირე მოლეკულურ TSH-R–ის ლიგანდებს, რომლებსაც შეუძლიათ anti-TSH-R-ის თი-

რეოიდმასტიმულირებელი ეფექტის დაბლოკვა, შესაბამისად, მოქმედებენ როგორც მისი ანტაგონისტები. თუმცა, მონაცემები ჯერ კიდევ წინასწარი და არასაკმარისია, იმის განსაზღვრისთვის, დაინერგება თუ არა ამ მედიკამენტების გამოყენება გრეივსის დაავადების სამართავად ყოველდღიურ პრაქტიკაში. ასევე, ბიოლოგიური შენაერთების, როგორიცაა რიტუქსიმაბი, გამოყენების სარწმუნოობა არაა გამყარებული საკმარისი მონაცემებით, მიუხედავად მისი რაციონალურობისა. უკანასაკნელი მიდგომით, მართვის ოპტიმალური ტაქტიკა ემყარება პაციენტის ინტერესების გატარებასა და მისი სპეციფიკური კლინიკური მახასიათებლების გათვალისწინებას, როგორიცაა ასაკი, არითმიის, ან გულის იშემიური დაავადების არსებობა ანამნეზში, ჩიყვის ზომა და თირეოტოქსიკოზის სიმძიმე. ვინაიდან მკურნალობის თითოეულ მეთოდს აქვს თავისი შეზღუდვები და გვერდითი მოვლენები, ექიმები კარგად უნდა იცნობდნენ თითოეული მათგანის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს, რათა შეძლონ პაციენტისთვის მაქსიმალურად სასარგებლო თერაპიის სწორად შერჩევა.

ამ გაიდლაინის სამიზნე აუდიტორია ექიმებია, რომლებიც მუშაობენ გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებთან. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია რაციონალური სამედიცინო პრაქტიკა. ეს გაიდლაინი არ ანაცვლებს კლინიკურ მსჯელობას, გადაწყვეტილების ინდივიდუალურ მიღებას, ან პაციენტისა და მისი ოჯახის სურვილებს. არამედ, თითოეული რეკომენდაცია უნდა შეფასდეს ამ კრიტერიუმებთან ერთად, რათა საბოლოოდ მივიღოთ პაციენტისთვის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება. როდესაც პაციენტისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა შეუძლია მსგავსი, სპეციფიკური გამოცდილების მქონე სამედიცინო დაწესებულებას, პაციენტი აუცილებლად უნდა გადამისამართდეს ასეთ დაწესებულებაში.

რადიკალური მკურნალობა – იგულისხმება რადიოაქტიური იოდით თერაპია და ქირურგია
ANCA – ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეული
Anti-TSH-R - თირეოტროპული ჰორმონის რეცეპტორის საწინააღმდეგო ანტისხეული
CBZ – კარბიმაზოლი
IGF-1-R – ინსულინის–მსგავსი ზრდის ფაქტორი 1–ის რეცეპტორი
MMI – მეთიმაზოლი
PTU – პროპილთიოურაცილი
SSKI – კალიუმის იოდიდის ნაჯერი ხსნარი
T3 – ტრიიოდთირონინი
T4 – თიროქსინი
TSH - თირეოტროპული ჰორმონი
TSH-R - თირეოტროპული ჰორმონის რეცეპტორი

Eur Thyroid J 2018;7:167–186
DOI: 10.1159/000490384

გაიდლაინი თარგმნა და გამოსცა
საქართველოს ენდოკრინოლოგიისა
და მეტაბოლიზმის ასოციაციამ

ცხრილი 6. 50 რეკომენდაცია, რომელიც მოწოდებულია ამ გაიდლაინში

№	რეკომენდაციები	მტკიცებულების ძალა და დონე
1	Anti-TSH-R–ის განსაზღვრა გრეივსის ჰიპერთირეოზის სწრაფი და ზუსტი დიაგნოსტიკისა და დიფერენციული დიაგნოსტიკის მგრძნობიარე და სპეციფიკური მეთოდია.	1, ØØØØ
2	როდესაც ტექნიკურად ხელმისაწვდომია, anti-TSH-R–ის ფუნქციური დიფერენციაცია (მასტიმულირებელი *vs.* მაინჰიბირებელი, რედ. შენიშვნა) გამოსადეგია და აქვს პრედიქტორული ღირებულება გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებში ორსულობის/მშობიარობის შემდგომ პერიოდში და ექსტრათირეოიდული გამოვლინებების დროს.	2, ØØØO
3	ულტრაბგერითი კვლევა, რომელიც მოიცავს ულტრაბგერით რუხი სკალისა და ფერადი, ან ენერგეტიკული დოპლერით გამოკვლევას, რეკომენდებულია როგორც ვიზუალიზაციის მეთოდი გრეივსის ჰიპერთირეოზის დიაგნოზის გასამყარებლად.	1, ØØØØ
4	ფარისებრი ჯირკვლის სცინტიგრაფია შემოთავაზებულია ფარისებრი ჯირკვლის კვანძებისა და ჰიპერთირეოზის თანაარსებობისას და, ასევე, რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე.	2, ØØØO
5	ახლად დიაგნოსტირებული გრეივსის ჰიპერთირეოზის მქონე პაციენტებს უნდა დაენიშნოთ ანტითირეოიდული მედიკამენტები. რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია შესაძლოა განიხილებოდეს იმ შემთხვევებში, თუ პაციენტი უპირატესობას ანიჭებს ამ მიდგომებს.	1, ØØØØ
6	მეთიმაზოლი (კარბიმაზოლი) უნდა იყოს გამოყენებული ყველა არაორსულ პაციენტში, ვინც ირჩევს ანტითირეოიდულ მედიკამენტურ მკურნალობას გრეივსის ჰიპერთირეოზის სამკურნალოდ.	1, ØØØØ
7	მეთიმაზოლი ინიშნება 12-18 თვით, შემდეგ მისი მიღება წყდება, თუ TSH და anti-TSH-R ნორმაშია.	1, ØØØØ
8	Anti-TSH-R–ის განსაზღვრა რეკომენდებულია ანტითირეოიდული მედიკამენტების შეწყვეტამდე. მათი რაოდენობის განსაზღვრა გვეხმარება პროგნოზირებაში, თუ რომელ პაციენტს უნდა შეუწყდეს ანტითირეოიდული მკურნალობა. Anti-TSH-R–ის ნორმალური დონე მიგვანიშნებს რემისიის მაღალ ალბათობაზე.	1, ØØØØ
9	12–18–თვიანი მკურნალობის შემდეგ, anti-TSH-R–ის მუდმივად მაღალი ტიტრის შემთხვევაში, შესაძლებელია თერაპიის გაგრძელება მეთიმაზოლით და anti-TSH-R–ის განმეორებით განსაზღვრა დამატებითი მკურნალობიდან 12 თვეში, ან აირჩეს მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები: რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია.	1, ØØØO
10	პაციენტები ინფორმირებული უნდა იყვნენ ანტითირეოიდული მედიკამენტების შესაძლო გვერდითი ეფექტების შესახებ და დაუყოვნებლივ შეატყობინონ მკურნალ ექიმს, თუ განვითარდა: სიყვითლე, ღია ფერის განავალი, მუქი ფერის შარდი, ცხელება, ფარინგიტი, ან ცისტიტი.	1, ØØOO
11	ანტითირეოიდულ მედიკამენტებზე მყოფ პაციენტებს ცხელების და/ან ფარინგიტის დროს უნდა განესაზღვროთ ლეიკოციტები, ხოლო თუ განვითარდა სიყვითლე, ღია ფერის განავალი, ან მუქი ფერის შარდი, უნდა შეფასდეს ღვიძლის ფუნქცია.	1, ØØOO
12	ბეტა–ადრენერგული ბლოკადა რეკომენდებულია ყველა შესაბამის შემთხვევაში გრეივსის ჰიპერთირეოზის დროს.	1, ØØØØ
13	თუ გრეივსის დაავადების მქონე პაციენტს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის პირველი კურსის დასრულების შემდეგ ხელახლა განუვითარდა ჰიპერთირეოზი, რეკომენდებულია რადიკალური მკურნალობა – რადიოაქტიური იოდით თერაპია, ან თირეოიდექტომია. მეთიმაზოლის დაბალი დოზით შემდგომი ხანგრძლივი თერაპია შეიძლება განიხილებოდეს რემისიაში არმყოფ პაციენტებთან, რომლებიც ამ მიდგომას ანიჭებენ უპირატესობას.	1, ØØØO
14	სუბკლინიკური ჰიპერთირეოზის მკურნალობა რეკომენდებულია გრეივსის დაავადების მქონე >65 წლის ასაკის პაციენტებთან, რომელთა TSH მუდმივად <0,1 მსე/ლ.	1, ØØOO
15	გრეივსის სუბკლინიკური ჰიპერთირეოზის პირველი რიგის თერაპია უნდა იყოს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობა.	1, ØØOO

16	გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებთან თირეოიდული კრიზის დროს უნდა ჩატარდეს მრავალმხრივი მკურნალობა, რაც გულისხმობს: ანტითირეოიდული მედიკამენტებით თერაპიას, გლუკოკორტიკოიდების გამოყენებას, ბეტა-ადრენერგულ ბლოკადას, გამაგრილებელ საბნებს, სითხის ბალანსის აღდგენას, ნუტრიციულ მხარდაჭერას, ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მონიტორინგს.	1, ØØOO
17	რადიოაქტიური იოდით თერაპიის აბსოლუტური ჩვენება არ არსებობს, თუმცა, ის ხშირად რეკომენდებულია პაციენტებთან, რომლებსაც აღენიშნებათ ანტითირეოიდული მედიკამენტების ფონზე გვერდითი ეფექტები, ან მკურნალობის შემდგომი რეციდივი.	1, ØØOO
18	რადიოაქტიური იოდით თერაპიის ეფექტურობისა და შესაძლო გვერდითი ეფექტების ყველა ასპექტის შესახებ პაციენტს უნდა მივაწოდოთ როგორც ვერბალური, ისე წერილობითი ინფორმაცია.	1, ØØOO
19	თუ გამოყენებულია ანტითირეოიდული მედიკამენტები, მათი მიღება დროებით უნდა შეჩერდეს, რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე დაახლოებით 1 კვირით ადრე და რადიოაქტიური იოდით თერაპიიდან 1 კვირის განმავლობაში, რათა არ შემცირდეს რადიოაქტიური იოდით თერაპიის ეფექტურობა.	1, ØØØØ
20	დოზის გამოთვლა არ იძლევა ხანგრძლივი ეუთირეოზის გარანტიას და სრულიად მისაღებია რადიოაქტიური იოდის ფიქსირებული დოზის შეთავაზება.	1, ØØØO
21	ორსულობა და ლაქტაცია არის რადიოაქტიური იოდით თერაპიის აბსოლუტური უკუჩვენება.	1, ØØØO
22	როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, ჩასახვა უნდა გადავადდეს რადიოაქტიური იოდით თერაპიის ჩატარებიდან სულ მცირე 6 თვით.	1, ØØØO
23	თუ ბავშვებში გამოიყენება რადიოაქტიური იოდით თერაპია, აბლაციური დოზები უნდა შეირჩეს ჰიპოთირეოზის სწრაფად მიღწევის მიზნით.	1, ØØØO
24	თუ გადაწყვეტილია ქირურგიული ჩარევა, არჩევის მეთოდია ტოტალური თირეოიდექტომია, რაც უნდა ჩაატაროს დახელოვნებულმა ქირურგმა, რომელიც ყოველწლიურად დიდი რაოდენობით თირეოიდექტომიას ატარებს.	1, ØØØØ
25	პერი-, ან პოსტოპერაციული თირეოტოქსიკოზის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, ოპერაციამდე უნდა მოხდეს ეუთირეოზის აღდგენა ანტითირეოიდული მედიკამენტებით.	1, ØØØØ
26	პოსტოპერაციული ჰიპოკალცემიის რისკის შესამცირებლად, D ვიტამინის დეფიციტის კორექცია უნდა მოხდეს ოპერაციამდე.	1, ØØØØ
27	კალიუმის იოდიდის შემცველი ხსნარი შეიძლება დაინიშნოს ქირურგიულ ჩარევამდე 10 დღის განმავლობაში.	2, ØØØO
28	გრეივსის ორბიტოპათიის დროს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ჰიპერთირეოზის კუპირება ანტითირეოიდული მედიკამენტებით და ეუთირეოზის სტაბილურად შენარჩუნება.	1, ØØØØ
29	რადიოაქტიური იოდით თერაპიამდე, აქტიური და მსუბუქი ფორმის გრეივსის ორბიტოპათიის დროს, ან რადიოაქტიური იოდით მკურნალობასთან ასოცირებული ორბიტოპათიის განვითარების, ან პროგრესირების რისკის არსებობისას, პაციენტებს უნდა ჩაუტარდეთ გლუკოკორტიკოიდებით პროფილაქტიკა.	1, ØØØØ
30	აქტიური და საშუალო–მძიმე ფორმის გრეივსის ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან პრიორიტეტი ენიჭება გრეივსის ორბიტოპათიის მკურნალობას. ანტითირეოიდული მედიკამენტებით დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს და სტაბილურად შენარჩუნდეს ეუთირეოზი.	1, ØØØØ
31	მხედველობისთვის სახიფათო გრეივსის ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან მკურნალობა უნდა ჩატარდეს ანტითირეოიდული მედიკამენტებით.	1, ØØOO
32	არააქტიური გრეივსის ორბიტოპათიის მქონე პაციენტებთან ჰიპერთირეოზის მკურნალობა შეიძლება შეირჩეს გრეივსის ორბიტოპათიისგან დამოუკიდებლად.	1, ØØØO
33	გრეივსის დაავადების მქონე რეპროდუქციული ასაკის ქალებს უნდა შეეთავაზოთ ჩასახვამდე კონსულტაცია და ორსულობის დაგეგმვამდე, ისინი უნდა იყვნენ სტაბილურ ეუთირეოიდულ მდგომარეობაში.	1, ØØOO

ცხრილი 6. 50 რეკომენდაცია, რომელიც მოწოდებულია ამ გაიდლაინში (გაგრძელება)

№	რეკომენდაციები	მტკიცებულების ძალა და დონე
34	გრეივსის დაავადების მქონე ქალები ინფორმირებული უნდა იყვნენ, რომ, ორსულობის დადასტურებისთანავე, დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს.	1, ØØØØ
35	ორსულობის დაგეგმვისას და/ან ორსულობის პირველ ტრიმესტრში მეთიმაზოლით მკურნალობაზე მყოფი ქალები გადაყვანილი უნდა იყვნენ პროპილთიოურაცილზე.	1, ØØØØ
36	ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების მქონე ყველა პაციენტს, ორსულობის დადგომისთანავე უნდა განესაზღვროს anti-TSH-R სენსიტიურად შემბოჭველი, ან უჯრედზე დაფუძნებული ფუნქციური ბიორეაგენტებით, თუ ანტისხეულების ტიტრი მომატებულია, კვლევა უნდა განმეორდეს გესტაციის 18-22 კვირის ვადაზე.	1, ØØØØ
37	თუ დედის anti–TSH-R-ის ტიტრი რჩება მაღალი (>3-ჯერ ზღვრულ მაჩვენებელზე) რეკომენდებულია ნაყოფის თირეოიდული დისფუნქციის მონიტორინგი, მთელი ორსულობის განმავლობაში.	1, ØØØØ
38	ორსულობის დროს უნდა შეირჩეს ანტითირეოიდული მედიკამენტების მინიმალური ეფექტური დოზა და არ გამოიყენება „დაბლოკე და ჩაანაცვლე“ რეჟიმი.	1, ØØØØ
39	დედის თავისუფალი T4 (საერთო T4) და TSH უნდა განისაზღვროს მკურნალობის დაწყებიდან ყოველ 2 კვირაში და სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის შემდეგ, ყოველ 4 კვირაში.	1, ØØOO
40	თუ გესტაციის 16 კვირის შემდეგ საჭიროა ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობა, უნდა განიხილებოდეს პროპილთიოურაცილის შეცვლა მეთიმაზოლით.	1, ØOOO
41	მეთიმაზოლის (<5-10 მგ დღეში), ან პროპილთიოურაცილის (<50-100 მგ დღეში) დაბალი დოზებით მკურნალობისას, ანტითირეოიდული მედიკამენტების მიღება შესაძლოა შეწყდეს გესტაციის 6-10 კვირის ვადამდე.	2, ØOOO
42	გრეივსის დაავადების მქონე მეძუძურ დედებთან სამკურნალოდ შეთავაზებული უნდა იქნას იგივე მკურნალობა, რაც არამეძუძურ ქალებთან.	1, ØØOO
43	ლაქტაციის პერიოდში რეკომენდებულია მეთიმაზოლით მკურნალობა, პროპილთიოურაცილით გამოწვეული ჰეპატოტოქსიკურობის საფრთხის გათვალისწინებით.	1, ØØOO
44	ხანდაზმულ პაცინტებს, რომელთაც აქვთ ჰიპერთირეოზით გამოწვეული წინაგულთა ფიბრილაცია, გულის უკმარისობა, ან გულის იშემიური დაავადების სიმპტომები, უნდა ჩაუტარდეთ რადიკალური თერაპია, როგორც წესი, რადიოაქტიური იოდით.	1, ØØØO
45	მეთიმაზოლის (კარბიმაზოლი) ხანგრძლივად მიღება უნდა განიხილებოდეს დამაკმაყოფილებელ თერაპიად გრეივსის დაავადების მსუბუქი ფორმის მქონე ხანდაზმულ პაციენტებში.	2, ØOOO
46	ბავშვებთან და მოზარდებთან თავიდან უნდა იყოს აცილებული პროპილთიოურაცილის გამოყენება.	1, ØØØØ
47	გრეივსის დაავადების მქონე ბავშვებთან მეთიმაზოლის (კარბიმაზოლი) ხაგრძლივი გამოყენება უნდა დარჩეს მკურნალობის მთავარ მეთოდად.	1, ØØØO
48	ბავშვებთან რადიკალური თერაპიის ძირითადი მეთოდი არის თირეოიდექტომია, თუმცა პოსტპუბერტატულ ასაკში შესაძლოა განიხილებოდეს რადიოაქტიური იოდით მკურნალობაც.	2, ØØOO
49	იმუნომოდულაციური თერაპიით გამოწვეული გრეივსის ჰიპერთირეოზი არ არის არც აღნიშნული იმუნომოდულაციური თერაპიის შეწყვეტის, არც ჰიპერთირეოზის რადიკალური მკურნალობის აუცილებელი ჩვენება.	1, ØOOO
50	იმუნური რეკონსტიტუციური გრეივსის დაავადების მქონე პაციენტებში შრატის anti–TSH–R-ის შემდგომი მონიტორინგი შეიძლება გამოიყენებოდეს ანტითირეოიდული მედიკამენტებით მკურნალობის ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის.	2, ØOOO

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bahn RS, Burch HB, Cooper DS, Garber JR, Greenlee MC, Klein I, Laurberg P, McDougall IR, Montori VM, Rivkees SA, Ross DS, Sosa JA, Stan MN; American Thyroid Association; American Association of Clinical Endocrinologists: Hyperthyroidism and other causes of thyrotoxicosis: management guidelines of the American Thyroid Association and American Association of Clinical Endocrinologists. Endocr Pract 2011; 17: 456–520.

2. Bartalena L: Diagnosis and management of Graves disease: a global overview. Nat Rev Endocrinol 2013; 9: 724–734.

3. Kahaly GJ, Dillmann WH: Thyroid hormone action in the heart. Endocr Rev 2005; 26: 704–728.

4. Biondi B, Kahaly GJ: Cardiovascular involvement in patients with different causes of hyperthyroidism. Nat Rev Endocrinol 2010; 6: 431–443.

5. Ross DS, Burch HB, Cooper DS, Greenlee MC, Laurberg P, Maia AL, Rivkees SA, Samuels M, Sosa JA, Stan MN, Walter MA: 2016 American Thyroid Association guidelines for diagnosis and management of hyperthyroidism and other causes of thyrotoxicosis. Thyroid 2016; 26: 1343–1421.

6. Smith TJ, Hegedus L: Graves' disease. N Engl J Med 2016; 375: 1552–1565.

7. Nystrom HF, Jansson S, Berg G: Incidence rate and clinical features of hyperthyroidism in a long-term iodine sufficient area of Sweden (Gothenburg) 2003–2005. Clin Endocrinol 2013; 78: 768–776.

8. McLeod DS, Caturegli P, Cooper DS, Matos PG, Hutfless S: Variation in rates of autoimmune thyroid disease by race/ethnicity in US military personnel. JAMA 2014; 311: 1563–1565.

9. Rapoport B, Chazenbalk GD, Jaume JC, McLachlan SM: The thyrotropin (TSH) receptor: interaction with TSH and autoantibodies. Endocr Rev 1998; 19: 673–716.

10. Rapoport B, McLachlan SM: TSH receptor cleavage into subunits and shedding of the Asubunit; a molecular and clinical perspective. Endocr Rev 2016; 37: 114–134.

11. Smith TJ, Hegedus L, Douglas RS: Role of insulin-like growth factor-1 (IGF-1) pathway in the pathogenesis of Graves' orbitopathy. Best Pract Res Clin Endocrinol Metab 2012; 26: 291–302.

12. Brix TH, Kyvik KO, Christensen K, Hegedus L: Evidence for a major role of heredity in Graves' disease: a population-based study of two Danish twin cohorts. J Clin Endocrinol Metab 2001; 86: 930–934.

13. Inaba H, De Groot LJ, Akamizu T: Thyrotropin receptor epitope and human leukocyte antigen in Graves' disease. Front Endocrinol 2016; 7: 120.

14. Lee HJ, Li CW, Hammerstad SS, Stefan M, Tomer Y: Immunogenetics of autoimmune thyroid diseases: a comprehensive review. J Autoimmun 2015; 64: 82–90.

